



ზურნალისტური გამოციება:  
ეალუალი ეალუალი -  
ვინ ახის ეამნაშავ?

ინტერვიუ  
ზაჟა ფირავილიძეთან  
"ეაკვს შანსი,  
ეავიბჩენო ის,  
ჩას  
მოღვაწეობასის  
სახელით  
ნამართვას"

გვ. 14

რაპორტაჟი  
სვანეთიდან  
ამავები  
საღონწვევი  
"ნამდვილი  
აშენება"  
გვ. 18

გაცათლაგა  
შაშაგინის  
"ცნობალები  
კახოველი  
პროცესი"

გვ. 32





FM  
ԱՅՐԱԾՈ  
98.0



ციბექისი

№ 97 / 10 - 16 ნოემბერი / 2011

მთავარი რედაქტორი

შორენა შავერდაშვილი

რედაქტორები

სოფო ბუკა

მაგდა მეგანიშვილი

შერჩევისტური გამოყიდვა

ნინო ზურაბშვილი

ვაგავერდის რედაქტორი

ნანა საჯაა

შერხალისათვაზ:

მარა ნიკლაური, ეკა ჭითანავა, თამარ ფარადაშვილი, ცირა გვასალია,

მალაზ ჭავჭავაძე, ზურა ვარდაშვილი, ანიტა თვალური, ანი ჭანკოტაძე, ლიკა ზავაშვილი

კონცერტული:

გიორგი ცხადაია, მარკ მალენი, ზალ ანდრონიკაშვილი, მანანა ქოჩიაძე, ცერალა შერმადინი, თემო ბარიმაშვილი

რედაქტია:

ფოტო-რედაქტორი  
ლევან ხერხეულიძე

გრაფიკული დაზიანი

თორნიკე ლორთქიფანიძე

რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგა კორექტორი თამარ ლონდაძე

გამოცემაში:

დირექტორი  
ქეოვან ბაბუნაშვილი

გაყიდვებისა და გიგანესის

გაციისარეაციის გენერატორი

რუსულ ბარათაშვილი

კალიგრაფია მომსახურების და დისტრიბუციის გენერატორი

ნათა რუსაძე

გაყიდვების გენერატორი:

ლევან ჯაბუა, სოფო პაპუნაშვილი,

ქეოვან ქავთარაძე, ქეოვან

მეგრულიძე, ელენე ხარაზაშვილი,

მარიამ მიქელაშვილი, ზურაბ

ზანდარაშვილი, თონა ისეფაშვილი

დისტრიბუტორი:

მიხეილ გელენიძე

ურნალის გამოწერის მსურველებმა  
დარეკეთ: 2962311, 2910151 პრეს-ექსპრესი

# რედაქტორისგან



„როგორც მსჯავრდადებულის ადვოკატი ბესარიონ ბოჭორიშვილი ამბობს, თაბაგარს 2008 წელს ხონის დაწესებულებიდან გაქცევის ორგანიზება დააბრალეს და სასტიკად ცემეს. ამის შემდეგ, მას დაეწყო პიროვნული აშლილობა და მიიყენა თვითდაზიანებული. „პატიმარი ამ ფორმით ციხის ადმინისტრაციის მხრიდან ცუდ მოპყრობას აპროტესტებს. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ეს პათოლოგიური რეაქციაა“, – განმარტავს ჯიშვარიანი. „...პაციენტი ვერ ეგუშება ციხის გარემოს, დაკარგული აქვს ადაპტაციის უნარი. რეუმის ხშირი დარღვევის და კონფლიქტების გამო, მისთვის „გამოწერილი“ აქვთ „მკურნალობის მეთოდი“ – ცემა.«

პატიმრის მონათხრობის მიხედვით, 2008 წლის 16 აგვისტოს, დაკავების დღეს, ჯერ სპეციაზმელებმა ცემეს, შემდეგ ქუთაისის მე-2 სასჯელალსრულებითი დაწესებულების დირექტორმა ზურაბ რუხაიძი, მისმა მოადგილებ მამუკა ჩეგაბანმა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა რამაზ ყიფაიანმა.

ციხის თანამშრომელებმა თაბაგარი 14 დეკემბერს კიდევ ერთხელ ცემეს, ცემითვე შეათრიეს პალატაში და ძირს დააგდეს, ააკრეს „სკოჩი“, თავზე ჩამოაცეს ცელლოფეანი და ცემით ჩაიყვანეს ნულ სართულზე, ხელ-ფეხზე დაადეს ბორკილები, თავზე დაახურეს „კასკა“ (ჩაფუტი) და ურტყამდნენ დაახლოებით სამი საათის განმეოღობაში.

როგორც თაბაგარის ადვოკატი გვიამბობს, პატიმრის წამება პერმანენტულად მეორდებოდა...“ (გვ. 36)

„მიზიდონ ონიანი შახტაში 2007 წლიდან, სამთო ოსტატად მუშაობდა. მისი ყოველვიური ხელფასი დაახლოებით 300 ლარი იყო. მისი მეუღლე ჰყვება, რომ ტყაბულში თავის ჩჩენის სხვა საშუალება არ არის და უმეტესობა იძულებულია, მუშაობა შახტაში დაიწყოს. 2 მარტს მისი მეუღლე საღამოს ცვლაში მორიგეობდა და სახლში ღამის 2 საათზე უნდა დაბრუნებულიყო. „2 საათამდე ფეხზე ვიყავი, რაღაც საჭმელი გავუმზადე, თურმა, უკვე დაღუშული ყოფილა. მე გავაგე დილით. შეილი თბილისში იყო, დამირეკა დილით, ონიანი რომ მომკვდარა, ვინ არისო და ვერავინ ვერ დაელაპარაკა“.

კიდევ ერთი გარდაცვლილი, 27 წლის მურმან კუბალშვილი, მაღალობი მამასთან ერთად მუშაობდა, აფეთქების დროს ისინი სხვადასხვა უბანზე იმყოფებოდნენ. შახტიდან გარდაცვლილი შვილი მამამ გამოიყვანა. შეილის გარდაცვალების შემდეგ პავლე კუბალშვილმა მუშაობა ვეღარ შეძლო, ოჯახი ვერც სოციალურად დაუცველთა სიაში მოხვდა და თავს ეპილეფსით დაავადებული შვილის პენსიით, 70 ლარით, ირჩენს.“ (გვ. 38)

„ქართულ მედიაშიც ბევრ რამეს აქცევენ უფრადლებას. წერენ აკავი ბობობიძის მუშტი-ერიცხე, ბიძინა ივანიშვილთან მიგარდილ მყვირალა გოგონებზე, პრეზიდენტის ტყუილებზე, დაჭერებზე, ცემაზე... მოკლედ, წერენ ყველაფერზე და ყველაზე, რასაც ხმით, განსხვავებულობით და ძალით ყურადღების მიეცევა შეუძლია. მაგრამ იძებათად წერენ სიჩუმეზე. იმ სიჩუმეზე, რომელიც უუფლებობის და უსუსურის განცდას მოაქვს და იმ ადამიანებზე, ვინც ყვირილის, მუშტი-კრივის, კამერების ყურადღებას და-ჩვეული ექსცენტრიულობის გარეშე ცდილობენ გადარჩენას. სინამდილეში კა, ხშირად, მათი მდუმარე ყოფა ყველაზე უფრო შემზარვა,“ – წერს ანა დოლიძე საავტორო სევტში, „ლიბერალის“ ვებგვერდზე.

თუ „ლიბერალის“ ამ ნომრის კითხვისას თქვენამდე მოაღწევს ეს „შემზარვა, მდუმარე ყოფა“, ჩა-ვთვლი, რომ ჩვენი არსებობა ღირს. კარგი იქნება, თუ სანდაზან მანიც მოვახერხებთ, არ ვიყოთ რიგითი საყვირი ყოველდღიურ, ვირტუალურ და ხშირად ფუჭ ხმაურის.

შორენა შავერდაშვილი



## "მასწავლებლის სახი" - შაშაბის "ცნობის კანონი პროცესი"

პედაგოგთა პროფესიული გადამზადება ისევ სახელმწიფოს პრეროგატივა ხდება. 2011 წლიდან მასწავლებლებს უფასოდ, ანუ სახელმწიფოს ხარჯზე გადამზადება მხოლოდ „მასწავლებლის სახლში“ შეძლებათ. თუკი მასწავლებლს კერძო ტრენინგ-ცენტრში სურს კვალიფიკაციის ამაღლება, მან ფული ახლა უკვე საკუთარი ჯიბიდან უნდა გაიღოს. ასეთ ხარჯს კი, პედაგოგთა უმრავლესობა თავს არიდებს.

### ხეობის ჟასი ქვეყნისთვის მომზადები ას იქნება

საბჭოთა პერიოდში დაწყებული სიდიდით მეორე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ისევ აქტუალური ხდება. 4 ნოემბერს კომპანია Trans Electrica LTD-ის წარმომადგენლები ხაიშის მოსახლეობას შეხვდნენ. ინვესტირმა, რომელიც ხუდონჰქესის მშენებლობას გეგმავს, მოსახლეობას პროექტის დეტალები გააცნო და მათგან შენიშვნები მოისმინა. პროექტის თანახმად, სოფელი ხაიში უნდა დაიტბოროს, თუმცა უცნობია, სად გადაასახლებენ ადგილობრივებს.

ექსპერტები ფიქრობენ, რომ ქვეყნისთვის ხუდონჰქესის ელექტროსადგური ეკონომიკურად მომგებიანი აღარ იქნება. ის შემოსავალი, რაც საქართველოს ბიუჯეტში წყლის რესურსების გასხვისებით შემოვა, ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას არ უზრუნველყოფს და მხოლოდ ექსპორტზე იქნება ორიენტირებული.

 მანანა ქოჩლაძის კომენტარი  
83.22



საქართველოს განათლებისა და კულტურის მინისტრი

### მაუხნაობის ფონა - ხამ

საქართველოში 2003 წლიდან მოქმედებს ჯანდაცვის მინისტრის სპეციალურ ბრძანება – №726 – ე.წ. „აქტირების სტანდარტი“. ბრძანების მე-5 პუნქტში ჩამოთვლილია ფსიქიკური დაავადებები, რომელიც ციხიდან გათავისუფლების ან სასჯელის გადავადების საფუძველია. ამ დაავადებებს შორისაა სხვადასხვა სახის ფსიქოზი, შიზოფრენია, გონებასუსტობა, ქცევითი აშლილობები. როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „ემპათიის“ ხელმძღვანელი მარიამ ჯიშვარიანი ამბობს, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში მსგავსი დიაგნოზით არაერთი პატიმარი იხდის სასჯელს.

 ზურაბ ვარდიაშვილი  
83.36

ვინც სამინისტროს მაღალჩინოსანთა ოპტიმისტურ რიტორიკას არ იზიარებს, მიაჩნიათ, რომ შეუძლებელია ერთმა ცენტრმა უზრუნველყოს ისეთი მრავალფეროვანი ტრენინგ-პროგრამების მომზადება, რომელიც თანაბრად დაკამაყოფილებს როგორც სერტიფიცირებულ, ისე არასერტიფიცირებულ პედაგოგთა განსხვავებულ პროფესიულ საჭიროებებს. ისინი მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების აქამდე არსებულ ნესს უფრო მოქნილ და ეფექტურ მეთოდად მიიჩნევენ.

 ლიკა ზაკაშვილი  
83.32

## "მაკვი შანსი, ლავიბენო ის, ჩას მოღეხიზასის სახითი ნამართვას"

„ივანიშვილი გახდება რაციონალური ნების, გონიერით მართული ნების მატარებელი ლიდერი. საქართველოს უახლეს ისტორიაში პირველი ცეცხლოვანი ტემპერამენტის მქონე ლიდერი რაციონალურმა შეცვალა, ეს უკანასკნელი – კვლავ ზეაქტიურმა.“

ერთგვარი დიალექტიკა მუშაობს და დღეს ადამიანებმა კვლავ რაციონალური ყაიდის ლიდერისკენ მიაპყრეს ყურადღება. მისგან არ მოითხოვენ ცეცხლოვან ტემპერამენტს ან ორატორულ ნიჭიერებას, მოითხოვენ, რომ მან თავისი გათვლის უნარითა და განონასწორებული ხასიათით ქვეყანა იმ ჩიხიდან გამოიყვანოს, რომელშიც ახლანდელი ხელისუფლის ზეაქტიურობამ შეიყვანა“.

 მალხაზ ჭკადუას ინტერვიუ ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილთან  
83.14

### ფოტოების მიხედვით

## ჩი მარცის ბახში



ფოტო ივან სარჩევისგან

 თემო ბარძიმაშვილის ფოტორეპორტაჟი  
83.44-51

### გამოცემა:

შპს „ლიბერალი“, მისამართი: თბილისი 0183, ულენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge

### სახელის გამოცემა:


„ლეილ შოკლადი“, „ბიზნესის ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ სავარაუდო უფლებები და ფულა.

ურნალშ გამოქვეყნებულ მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გრუმე აკრძალულია.

### ჩატვა:

სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02. გამოიდის კეირაში ერთხელ, ყოველ ხეთშებათს. პირველი წომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

### ასევე ნომერი:



ფოტო მარავაშვილი / REUTERS

- 04 მოკლედ
- 06 რიცხვები, ციტატები
- 08 ორი აზრი

არის თუ არა რუსეთთან ემოში განევრიანების შესახებ მიღწეული შეთანხმება საქართველოსთვის სახარბიელო?

გასილ ქურიძე VS პაატა ზაქარეიშვილი კომენტარი

- 10 „ცოდნის ეკონომიკა“ – გავზარდოთ განათლების და მეცნიერების ხარისხი გიორგი ცხადასი
- 12 გადაადგილების თავისუფლება მარკ მალენი
- 24 მსოფლიო
- 27 შუაღამის სამიტი
- 27 ლიბია
- დიქტატორის გაცილება
- კონფლიქტები
- 30 საბჭოთა კავშირი „იქაც“ და „ჩვენთანაც“
- 38 დალუპული მაღაროელები – ვინ არის დამნაშავე?
- 52 ლიბერალის ვებგვერდიდან
- 52 ივანიშვილი ex machina
- ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
- 55 დამპალო



ურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „და საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატვებს ფონდს „და საზოგადოება–საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არის ესუბისმგებელი მასალის მინახებზე.

*The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.*

"Քիեօւօղութիւն ԵԱՀԱՅԻ" -  
ԿԱՆԱՏԻՈՒ ԿԵՆԵՐԱԿԵՐՈՒ



ցերմանուս կանցլերմա անցելա մերկելմա და რუსეთის პრეზիդենტ- მა დიմიტրի მედვեდյովმა 8 ნოემბერს სტრატეგიული მნიშვნელობის მიღსა- დენი „ჩრდილოეთის ნաკաდი“ გახსნეს. მიღსადენის გახსნაში საფრանგე- თისა და ნიდერლანდების პრემიერ- მინისტრები ფრანსუა ფიონი და მარკ რუტე მონანილეობდნენ, ასევე ევროკომისარი ენერგეტიკის საკითხე- ბში, გიუნტერ ოტინბერი. მიღსადენის გახსნის საზემო ცერեმონია გეրմა- նიու ქალაქ ლუბბიმიში გაიმართა. მიღსადენის მეშვეობით დასავლეთ ევროპას რუსეთი ბუნებრივ აირს მიაწვდის. „ჩრდილოეთის ნაკადის“ მიღსადენი ბალტიის ზღვის ფსკერზე გაივლის. მისი სიგრძე 1224 კილომე- ტრი იქნება და სრულად 2012 წელს ამოქმედდება. მიღსადენი გვერდს აუვლის უკრაინისა და ბელარუსის ტერიტორიებზე არსებულ მიწისზედა გაზხადენების ქსელს. „ჩრდილოეთის ნაკადი“ 55 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს გაატარებს. პროექტი რუსეთის, ցერმანიის, პოლანდიისა და საფრანგეთის კომპანიებმა განა- ხორციელებს. მისი ღირებულება 7,4 მილიარდი ევროა.

**ԵՎՐՈ- ՍՊՐԻՆԴ ԿԱՇՄԻՐ ԿԱՎԱԿ ՀԱՐՄԱԿ ԱԼՎԵՐԱ**

თურქეთმა ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს სომხეთის ატომური ელეկტროსადგურის დასუ- რვის მოთხოვნით მიმართა. „კაզაխსკი უზელის“ ინფორმაციით, ამის შესახე-

ցաნცხადება თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ტანერ ილდიზმა გააკეთა. თურქული მხარის ინიციატივაა, რომ ყველა ატო- მური ელექტროსადგური, რომელთაც ექსპლუატაციის ვადა ამოენურათ, დაიხუროს.

თურქეთის საკანონმდებლო ორგანოს, მიღს მეჯლისის ერთ-ერთი წევრი ალი მასიმლი ფიქრობს, რომ აზერბაიჯანმა, საქართველომ და თურქეთმა ერთანი ძალისხმევით უნდა მოითხოვონ სომხე- თის ატომური ელექტროსადგურის და- სურვა. მისივე თქმით, თუკი ატომურმა სადგურმა პრობლემა შეუქმნა ისეთ განვითარებულ ქვეყანას, როგორიც იაპონიაა, სომხეთის სადგური, რომელ- საც ექსპლუატაციის ვადა გაუვიდა, უფრო მეტ პრობლემას შექმნის. თურქეთის ენერგეტიკის მინისტრმა განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც 23 ოქტომბერს თურქეთში დამანგრე- ველი მინისტრია მოხდა. ვანის პროვინ- ციაში მინისტრის გამო 500 ადამიანი დაიღუპა.

**ԻՀԱԵՍ ՖՐԻՋԻ ՍՊՐԻՆԴ ԿԱՇՄԻՐ ԱԼՎԵՐԱ**



ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადი- նეჟადი მიმდინარე წლის ბოლომდე სომხეთს ეწვევა. ამის შესახებ სომხე- თის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედ- ვარდ ნალბანდიანმა ერევანში ირანელ კოლეგათან, ალი აკბარ სალეხთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე განა- ცხადა.

ნალბანდიანის განცხადებით, ირანისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინის- ტრებმა შეხვედრაზე ორი ქვეყნისათვის სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე, მათ შორის, მაჰმუდ აჰმადინეჟადის

სომხეთში ვიზიტის მზადების საკი- თხზეც ისაუპრეს.

**ԵՎՐՈ- ՍՊՐԻՆԴ ԿԱՇՄԻՐ ԱԼՎԵՐԱ**

ბელარუსის ხელისუფლებამ მინსკ- ში იპოზიციის საპროტესტო აქცია „რისხვის დღე“ ჩაშალა. აქცია სო- ციალური ქსელებისა და ინტერნეტის მეშვეობით დაიგეგმია. აქციის ორგა- ნიზატორები მომხრეებს შეერებისკენ მოუნიდებდნენ.

„რადიო თავისუფლების“ კორესპონდენ- ტის ცნობით, „ხელისუფლებამ ინფორ- მაციის მთავარ გამავრცელებელთა პოვნა მოახერხა და ისინ სამართალ- დამცავ ორგანოებში პროფილაქტიკური გასაუბრებისთვის გამოიძახეს“.

აქციის სხვა წევრებს მთავრობის შე- ნობასთან მიახლოების საშუალება არ მიეცათ.

**ԿԱՆԱՏՈՒ ԸՆՎԵԼԿ ՀԱԽԱԼՈՒ ՑԱՖԻՐ ԱԼՎԵՐԱ**

ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლომ ნიუ-იორკში რუსეთის მოქალაქე ვიქტორ ბუტი იარაღით ვაჭრობაში დამნაშავედ ცნო. ბუტი 44 წლის საბჭოთა არმიის ყოფილი ოფიცერია. მას ბრალად კოლუმბიელი ტერორისტების ჯგუფებისთვის მქმე შეიარაღების მიყიდვის მცდელობა ედებოდა. ნიუ-იორკის ფედერალურ სასამართლოს განაჩენი ჯერ არ გა- მოუცხადება. თუმცა სავარაუდოდ, მას 25 წლით პატიმრობა ელის.

ვიქტორ ბუტი 2008 წელს ამერიკელი აგენტების მეშვეობით დაკავეს. აგენ- ტები თავს ორგანიზაცია „კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალე- ბის“ წევრებად ასაღებდნენ და ბუტია ერთად მონაწილეობდნენ ოპერაციაში. ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ არსებობს საიდუმლო ჩანანერები, სადაც ჩანს, თუ როგორ ცდილობდა ვიქტორ ბუტი ტერორისტებისათვის იარაღის მიყიდვის სანაცვლოდ მილიო- ნების შოვნას.

ამ საკითხს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანი ალექსან- დრე ლუკაშევიჩი გამოხმაურა. მისი



თქმით, რუსეთის ხელისუფლება მათი მოქალაქე ბუტის საქმეს ნიუ-იორკის ფედერალურ სასამართლოში და-აკვირდება და ყველანაირად შეეცდება სამშობლოში დააპრუნოს. ლუკაშევიჩის განცხადებით, მოსკოვს ეჭვი ეპარება ვიტორ ბუტის პროცესის სამართლიანობაში.

## ახაიალი ბანეალი ცლანეთში სამსახურის ბათავისაფლას

ამერიკელი გენერალი პიტერ ფულერი, რომელიც ავღანეთში მსახურობდა, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყების ინფორმაციით, სამსახურიდან დაითხოვეს. გენერალ-მაიორი ფულერის სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზად პრეზიდენტ პამიდ კარზასა და მის მთავრობაზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები სახელდება.

ფულერის გათავისუფლებასთან დაკავშირდებით გავრცელდა ავღანეთში საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალების ხელმძღვანელის, ამერიკელი გენერლის ჯონ ალენის განცხადება, სადაც წერია, რომ ფულერის მოსაზრებები „არ ასახავს მჭიდრო კავშირებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ავღანეთის მთავრობებს შორის“. ამავე განცხადებაში მითითებულია, რომ ფულერი ავღანეთის ჯარისა და პოლიციის დანაყოფებს წვრთნიდა.

პიტერ ფულერმა ინტერვიუ ინტერნეტ-

-გამოცემა „პოლიტიკოს“ მისცა. მან ინტერვიუში ავღანეთის ლიდერებს უწოდა იმპულსური და უმადური პირები. მისი თქმით, ავღანელი ლიდერები არასათანადოდ აფასებენ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გაღებულ მსხვერპლს, რაც ავღანეთში სტაბილურობის დამყარებას ისახავს მიზნად.

## საბაზენეთი ახიზისილან გამოსავალს ცდას

საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი ვეონგ პაპანდურეუ ნ ნოემბერს თანამდებობიდან გადადგომას დათანხმდა. ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პაპანდურეუ საბერძნეთის ოპოზიციური ძალების ლიდერებთან ერთად გარდამავალი ეროვნული მთავრობის ჩამოყალიბების გეგმას განხილავს.

ახალმა გარდამავალმა მთავრობამ ქვეყანა კრიზისიდან უნდა გამოიყვანოს და გაატაროს ყველა საჭირო რეფორმა, რაც ევროკავშირის 130 მილიარდიანი დახმარების მისაღებადა საჭირო. გარდამავალი მთავრობა საბერძნეთს მორიგ არჩევნებამდე უხელმძღვანელებს.

ევროკავშირმა საბერძნეთის დახმარების გეგმა მას შემდეგ შეიმუშავა, რაც საბერძნეთის პარლამენტმა კრიზისიდან თავის დასაღწევად მთავრობის პროექტი დაამტკიცა. პროექტი მიზნად ისახავს საჯარო სამსახურებში სამუშაო ადგილების, პენსიებისა და სოციალური დახმარებების შემცირებას. ამ პროექტის განხორციელებას საბერძ-

ნეთის მოქალაქეები ეწინააღმდეგებიან და საკუთარ პროტესტს ქუჩის აქციებით გამოხატავენ.

## ახევნები ნიანაბუში

ნიკარაგუას საპრეზიდენტო არჩევნებში ისევ დაინიელ ორტეგამ გაიმარჯვა. ხმების წინასწარი დათვლის შემდეგ ორტეგამ 62-პროცენტიანი მხარდაჭერა მოიპოვა.

საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად, ნიკარაგუაში საპარლამენტო არჩევნებიც გაიმარჯვება აქაც იორტეგას „ეროვნული გათავისუფლების სანდისტურმა ფრონტმა“ მოპოვა. წინასწარი მონაცემებით ორტეგას პარტიას ამომრჩეველთა 61 პროცენტი უჭრს მხარს.

დანიელ ორტეგა ნიკარაგუას სათავეში 1985-1990 წლებში ედგა. ის პრეზიდენტად 2006 წლის არჩევნებშიც, მეორე ვადით აირჩიეს.

დანიელ ორტეგას პრეზიდენტობისას ნიკარაგუაში დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აფხაზეთისა და სამხრეთისეთის დე ფაქტო რესპუბლიკები აღიარა. **¶**



# რიცხვები, ციტატები

**702** მეგავატის

სიძროელექტროსადგური  
ოფშორში დარეგისტრირებულმა  
კომპანია **Trans Electrica Limited**-  
მა მდინარე ენგურზე უნდა  
ააშენოს

**2** მაღაროელი დაილუპა

6 ნოემბერს ტყიდულის  
მინდელის სახელობის  
მაღაროში მიმდინარე  
სამუშაოების დროს

**12**-მდე გაიზარდა

საქართველოში ბოლო სამი  
წლის მანძილზე დალუპულ  
მაღაროელთა რიცხვი

**3**-მა არასამთავრობო

ორგანიზაციამ “ახალგაზრდა  
იურისტთა ასოციაციამ”,  
„სამართლიანმა არჩევნებმა“  
და „საერთაშორისო  
გამჭვირვალობა –  
საქართველომ“ საარჩევნო  
სიების გადამოწმების კომისიის  
წევრობაზე უარი განაცხადა.

**14** ქართველი პოლიციელი

დაილუპა შინაგან საქმეთა  
მინისტრის ინფორმაციით  
რუსეთ-საქართველოს ომის  
შემდეგ ე.ნ. სამხრეთ ოსეთის  
მოსაზღვრე ზონებში

**19 500** ფუნტად შეიძინა

კანადელმა სტომატოლოგმა  
ჯონ ლენონის კბილი

**60** ადამიანი დაილუპა

ნიგერიაში ისლამისტური  
დაჯეგუფება „ბოკო ხარამის“  
მიერ განხორციელებული  
ტერაქტის შედეგად

„სასურველია, უფრო მეტი კითხვა დასვან და  
ნაკლები განცხადები აკეთონ. ვისურვებდი,  
იქ მყოფი ურნალისტებისა და ბატონი ივანიშვილის  
მოსმენის საშუალება იქ მყოფ საზოგადოებასაც ჰქონდა და  
მაყურებელსაც“.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში ჯონ ბასი



„ნუ ელოდებით, რომ აუცილებლად ხალხი უნდა გამოვიდეს  
ქუჩიში და რაღაც გარდატეხა მოხდეს. ამ პროცესშის ჩვენ  
უვავე არ დავუშვებთ. ჩვენ ქუჩის გარეშე, მხოლოდ არჩევნებით  
უნდა მოვიდეთ. ყველამ თავის თავში მოახდინოს ... სიტყვა  
„რევოლუცია“ არ მინდა ვიხმარო, მაგრამ ამის მსგავსი  
რევოლუცია, თუ ევოლუცია“.

ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი



„მე არ მინდა ვოქვა, რომ სხვის გაჭირვებაზე ჩვენ უნდა  
გავიხაროთ, მაგრამ ჩვენ ყველანი ახლა უნდა ვიდგეთ დიდი  
ბადით საქართველოს საზღვრებთან და დავიჭიროთ სხვადასხვა  
ქვეყნიდან გამოქცეული კაპიტალი. იმიტომ, რომ ვერცერთი  
ქვეყანა ახლოს ვერ მოვა საქართველოსთან საინვესტიციო ფონით,  
კორუფციის არქონით, უსაფრთხოების უმაღლესი დონით. ეს არის  
ზუსტად ის მომენტი, როცა სხვა ქვეყნიდან კაპიტალი გარბის და  
საქართველოს აქვს შანსი, თავისი ეკონომიკური პოტენციალი  
გაზარდოს ამ გაქცეული კაპიტალის ხარჯზე“.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი



„ევროს სტაბილურობა უფრო

მნიშვნელოვანია, ვიდრე საბერძნეთი“.

გერმანიის კანცლერი

ანგელა მერკელი



„ბერძნებს აქვთ არჩევანი: ან ევროზონის რეფორმებში ჩაერთონ, ან  
უარი თქვან რეფორმებზე და დატოვონ ევროზონა.“

მესამე გზა არ არის. საბერძნეთს უნდა ესმოდეს, რომ ჩვენი  
მოთმინება შეიძლება ამოინუროს“.

ფილიპ როსლერი – გერმანიის ეკონომიკის მინისტრი,

„თავისუფალი დემოკრატიული პარტიის“ ლიდერი



„ჩვენ ავიდეთ ცალმხრივი ვალდებულება ძალის გამოუყენებლობის  
შესახებ. ამდენად, მეხუთე მუხლის კონტექსტში „ნატო“-სთვის  
პრობლემა არ ვიქნებით საქართველოსა და რუსეთს შორის  
სამხედრო კონფრონტაციის თვალსაზრისით“.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე



კუსალის ანგაზავნა!

+1,5%

USD / EUR

ვალიან და მოწნო  
კანგაზა

აუქტივ ბანკი, სამუშავ ენერგია



## აჩის თუ აჩა ჩასეთთან ვეო-ში გამოცხადების შეტანების საკათვი

**30**

რუსეთთან კომპრომისის მიღწევა თავისთავად უკვე წარმატებას ნიშნავს. ბუნებრივია, ეს იყო წარმატება და ამ მოსაზრების გასამყარებლად ორი მთავარი არგუმენტი გამოდგება:

პირველი — საქართველომ მსოფლიოს თანამეგობრობის დასაწადა, საერთაშორისო თანამეგობრობისათვის უკიდურესად საინტერესო საკითხის გადაწყვეტის მიმართ გამოიჩინა დიპლომატიურობა, კომპრომისისადმი განწყობა და მისი პოზიციის გამო გახდა შესაძლებელი რუსეთთან კომპრომისის მიღწევა. საქართველომ თავისი პოლიტიკური ძალის დემონსტრირება მოახდინა მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში. საერთაშორისო თანამეგობრობაში ყველა ელოდა, შეუშებდა თუ არა საქართველო რუსეთს ვმო-ში. გარკვეულნილად გამოჩნდა, რომ საქართველოს გააჩნია საკმაოდ პრინციპული დამოკიდებულება გარკვეული საკითხების მიმართ და აქვს

**ვასილ ჭყოიძე**  
„ევროპული მოძრაობის“  
პრეზიდენტი



უნარი — დაიცვას თავისი პოზიციები. ეს, რა თქმა უნდა, საქართველოს პრესტიუზი პოზიტიურად აისახება.

მეორე საკითხია, რომ მიღწეულ კომპრომისს ზიანი არ მიუყენებია ჩვენი ეროვნული ინტერესებისათვის. საქართველომ საბოლოო ჯამში მიიღო ის, რასაც ითხოვდა, ანუ საერთაშორისო ნეიტრალური დამკვირვებლების მეშვეობით ფსოუს და როკის გამშვები პუქტების მონიტორინგი.

ჩვენ მივიღებთ იმ ინფორმაციას, რასაც ვერ ვიღებდით 90-იანი წლების დასაწყისში, ანუ რა ტვირთები შემოდის ჩვენ მიერ გაუკონტროლებელ, მაგრამ დე იურე ქართულ ტერიტორიაზე და

პირველად გვეძლევა ამის საშუალება. ამასთანავე, შეთანხმება მართალია არაპირდაპირ, მაგრამ მაინც აფიქსირებს საქართველოს ლეგიტიმურ უფლებას, რომ მან აკონტროლოს საქართველოს ტვირთბრუნვა და საბაჟო გამშვები პუნქტები იმ საზღვრებში, რომელიც საქართველოს საზღვრებად საერთაშორისო თანამეგობრობის მიერაა აღიარებული. ეს არაპირდაპირი, მაგრამ მინიშნებაა იმაზე, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი ამ კომპონენტში დაცულია. რა თქმა უნდა რუსეთს არ უარყოფია აფხაზეთის და ოსეთის დამოუკიდებლობა, მაგრამ მაშინ რატომ აღიარა საქართველოს უფლება, რომ გააკონტროლოს ის საზღვრები, რომელიც რუსეთსა და თითქოსდა რუსეთის მიერ აღიარებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის არსებობს? ამ ფაქტით რუსეთმა აღიარა საქართველოს ლეგიტიმური უფლება, რომ მას ჰქონდეს მონიტორინგის საშუალება იმ საზღვრებზე, რომელსაც საქართველო თავისად მიიჩნევს. ■



## არავალის შასახელი მიღწეული ცოსთვის სახაბივი?

### არ

ამ მოლაპარაკებებს ორი მხარე აქვს – კარგია, რომ საქართველო, რომელიც აჭიათურებდა პროცესს და პოლიტიკურ კონტექსტში გადაჰქონდა მოლაპარაკები, დროულად მოეგო გონის. ის დაავარებს და სწორი გადაწყვეტილება იყო, როდესაც რუსეთის ვმო-ში განევრიანების საკითხზე დავგთანხმდეთ. თუკი რუსეთი ვმო-ს წევრი გახდება და უფრო ცივილიზებული ფორმებთ ჩაერთვება მსოფლიოს ვაჭრობის პროცესში, ეს სასარგებლო იქნება საქართველოსთვისაც, როგორც მსოფლიოს ნაწილისთვის.

თუმცა ეს შეთანხმება რა ფორმითაც შედგა, ნიშნავს იმას, რომ საქართველომ ყველა ის პოზიცია, რაზეც ადრე საუბრობდა და რითაც პროცესის პოლიტიზაციას ახდენდა, წააგო. თავიდან ხელისუფლების პრინციპული პოზიცია იყო, რომ ფსოუზე და როკზე ქართველი მებაჟები მდგარიყვნენ, ისიც მხოლოდ საზღვარზე. საქართველოს მთავრობა არც კი აყენებდა საპარო, ან

**პაატა ზაქარეიშვილი**  
კონფლიქტოლოგი,  
„რესპუბლიკური პარტიის“  
წევრი



საზღვაო ტვირთების გაკონტროლების საკითხს. აშკარაა, რომ მას სჭირდებოდა საზღვარზე ადამიანები დროშების ფრიალით და ფორმებით მდგარიყვნენ, რასაც მხოლოდ სიმბოლური და პრპაგანდისტული დატვირთვა ექნებოდა.

საქართველოს მეორე წინადადება იყო, რომ როკზე და ფსოუზე უცხოელი დამკვირვებლები მაინც მდგარიყვნენ. არც ის არ გაუვიდა. რუსეთმა მკაფიოდ თქვა, რომ არავითარ შემთხვევაში არ აიტანს როკზე და ფსოუზე ან ქართველ, ან უცხოელ მებაჟებს. საბოლოო ჯამში მივიღეთ ის, რომ მებაჟები და დამკვირვებლები აღმოჩნდნენ ზუგდიდსა და გორში, სადაც ისედაც დგანან ქარ-

თველი მებაჟები. ანუ საქართველოს პოზიციებმა ამ მოლაპარაკებებში სრული ფიასკო განიცადა.


მნიშვნელოვანია, რომ მოლაპარაკების საკითხებს ვმო-ში რუსეთის განევრიანებასთან პირდაპირი კავშირი არ ჰქონდა. ვიცოდით, რომ აქედან სარგებელს ვერ მივიღებდით, გარდა ორკვირიანი პროპაგანდისა, რომ იქ ვიღაცები დგანან. თუმცა პროცესი მაინც გავწელეთ.

ფაქტია, რომ რუსეთის განევრიანება ვმო-ში უფრო მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, ვიდრე ქართულ ფორმაში გამოწყობილი რობოტი მებაჟების დაყენება საზღვარზე, რასაც რუსეთი ისედაც არ დაუშვებდა.

საბოლოოდ მოხდა ისე, რომ მოლაპარაკებები საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე წარმატებით დასრულდა, სააკაშვილის ხელისუფლების ინტერესებიდან, მისი აქცენტებიდან გამომდინარე კი სრული ფიასკო იყო. **■**

## "სოდის ვაონომია" - ბავზახეოთ ბანათის ბის ე მასნიახების ხასისხი

გიორგი ცხადაია  
ილიას უნივერსიტეტის  
პოლიტიკური  
მეცნიერების  
მაგისტრანტი



განათლება და მეცნიერება ის სტრატეგიული დარგია, რომელსაც დღეს ყველა პოლიტიკური ძალა მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს. ამ სფეროს განვითარება ერთდროულად გამოასწორებს საჯარო პოლიტიკაში არსებულ ჩავარდნებს და ასევე, მთლიანი შიდა ეკონომიკის განვითარებაზე გადამწყვეტ გავლენას მოახდენს.

ოქტომბრის ბოლოს, საქართველოს მთავრობის ვებსაიტზე გამოქვეყნდა ე.წ. „ათპუნქტიანი გეგმა“, რომელ-შიც ის ათი პრინციპია ჩამოწერილი, რომელსაც საქართველოს მომავალი განვითარება უნდა დაეფუძნოს. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც საქართველოს მთავრობამ ქვეყნის განვითარების პრიორიტეტები შედარებით ვრცლად და კონკრეტულად დასახა.

ამ თემაზე მსჯელობა მით უფრო აქტუალური ხდება იმ ფონზე, როდესაც ხელისუფლების ახლად გამოჩენილი კონკურენტი ბიძინა ივანიშვილიც ერთ-ერთ მთავარ აქცენტს სწორედ ეკონომიკურ განვითარებაზე აქვთებს. ჯერვერობით, განვითარების სტრატეგიული ხედვა არც თავად ივანიშვილს გაუცხადებია.

სინამდვილეში, რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის გარდა (გაერო, USAID, ევროკავშირი...), ქართული ეკონომიკის მეცნიერულად დასაბუთებულ კვლევაზე თითქმის არავინ ზრუნავს. საქართველოს მთავრობის ათპუნქტიანი გეგმაც და აქამდე ოპოზიციური პარტიების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიც არ არის გამყარებული საკითხების საფუძვლიანი კვლევებით საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ სფეროებში.

საქართველოს განვითარების პოლი-

ტიკა, ძირითადად, წინასწარ გაწერილ ფორმულებს – „მცირე სახელმწიფო-სა“ და დაურეგულირებელ საბაზრო ეკონომიკას ეფუძნება. ამის მიზეზი შესაძლოა ის იყოს, რომ საქართველოს ხელისუფლებას ძალზედ იზიდავდა და იზიდავს ე.წ. თავისუფალი ეკონომიკური დოქტრინა. სააკაშვილმა 2009 წლის ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის წინაშე „თავისუფალი ეკონომიკური აქტი“ წარადგინა და განაცხადა, რომ ქვეყნის მომავალი განვითარება ლიბერალურ ეკონომიკურ რეფორმებს უნდა დაეფუძნოს. აქტი გულისხმობდა რეფერენდუმის დაკანონებას ყოველ ახალ საგადასახადო ცვლილებაზე (იმისთვის, რომ გადასახადები არ გაზრდილიყო) და სახელმწიფო ხარჯების მთლიან შიდა პროდუქტოან 30 %-იან თანაფარდობას (იმისთვის, რომ სახელმწიფო ხარჯები არ გაზრდილიყო). „საქართველო მსოფლიო ლიბერალური ეკონომიკის ფლაგმანი უნდა გახდეს“, – აცხადებდა სააკაშვილი.

იმავე გამოსვლისას სააკაშვილი უფრო შორსაც წავიდა და რჩევები უცხოელ ელჩებსაც მისცა: „პატივცემული ელჩები ხშირად გვაძლევენ რეკომენდაციებს იმის თაობაზე, თუ როგორ ვმართოთ ეკონომიკა. ჩვენ მზად ვართ, რამდენიმე მათგანს ჩვენი ექსპერტებიც გაუუგზავნოთ, რათა

ცოტათი მაინც შეძლონ წინ წაწევა, თუ ჩვენს დაწევას ვერ მოახერხებენ.

მაგალითად, დიდი სიამოგებით გავაგზავნიდი ექსპერტებს პოლანდიაში“.

„თავისუფალი ეკონომიკური აქტის“ მთავარი პუნქტები, რომლებიც გადასახადების გაზრდასა და ხარჯვის შემცირებას ეხება, „ათპუნქტიან გეგმაშიც“ უცვლელი დარჩა. სააკაშვილის აროგანტული განცხადებები კი, რომლებიც პოლანდიაში „ექსპერტების“ გაგზავნას ეხებოდა, ელჩებმა რეაგირების გარეშე დატოვეს.

„თავისუფალი ეკონომიკური დოქტრინის“ მიხედვით, სახელმწიფო მაქსიმალურად შეიზღუდავდა თავს ბაზარში ჩარევისგან და ბაზარიც მაგიურად, სახელმწიფოს დაუხმარებლად, განვითარდებოდა. არადა, საყოველთაოდ ალიარებული ფაქტია, რომ ამგვარი „საბაზრო ფუნდამენტალიზმი“ არ მუშაობს და ყველაზე წარმატებულმა განვითარებადმა ქვეყნებმა, სწორედ სახელმწიფოს აქტიური ჩარევის შედეგად მიაღწიეს არნახულ ეკონომიკურ ზრდას.

როგორც ჩანს, საქართველოს მთავრობას 2009 წელს ჯერ კიდევ პქონდა იმის იმედი, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას ჯადოსნური ფორმულის – დაურეგულირებელი ბაზრის, სახელმწიფოს მინიმალური ჩარევის

და დაბალი გადასახადების მეშვეობით მიაღწევდა.

ბოლო დროს, სააკაშვილის მთავრობა მითოლოგიური წარმოდგენებისა გან ნელ-ნელა თავისუფლდება. ამას ადასტურებს „ათპუნქტიან გეგმაში“ განერილი, შედარებით სერიოზული დამოკიდებულება სოფლის მეურნეობისადმი და გაზრდილი ინტერესი ჯანდაცვის სფეროს მიმრთ.

მას შემდეგ, რაც ქვეყნის განვითარების შესახებ მითოლოგიურ წარმოდგენებს უკან ვიტოვებთ, მეცნიერებისა და განათლების პრობლემამდე მივდივართ. თუ ყველა სიტუაცია უნიკალურია და გადაწყვეტილებები არსებული მდგომარეობის სათანადო გამოკვლევის შედეგად მიიღება, გამოდის, რომ სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად და განსახორციელებლად უამრავი პროფესიონალი საჯარო მუშაკი და კვალიფიციური კვლევითი ცენტრი გვესაჭიროება. ანალოგიურად, კერძო სექტორიც კვალიფიცირებული ადამიანური რესურსების გარეშე, სწორ გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებს და მოდერნიზაციასაც ვერ შეძლებს.

განათლება და მეცნიერება ის სტრატეგიული დარგია, რომელსაც დღეს ყველა პოლიტიკური ძალა მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს. ამ სფეროს განვითარება ერთდროულად გამოასწორებს საჯარო პოლიტიკაში არსებულ ჩავარდნებს (რომლებიც არაეფექტური პოლიტიკის გატარებაში გამოიხატება) და ასევე, მთლიანი შიდა ეკონომიკის განვითარებაზე გადაწყვეტ გავლენას მოახდენს.

საქართველოში უმაღლესი განათლების ბიუჯეტი 2011 წელს შემცირდა და მისი გაზრდა არც მომდევნო წლისთვის იგეგმება. ამის მიზეზი შესაძლოა ისიც არის, რომ ამ სექტორს პოლიტიკაში ყველაზე ნაკლები ლობისტი ჰყავს.

სხვა სექტორები (მაგალითად, ძალოვანი უწყებები) ყველაზე მეტი მატერიალური რესურსის მიზიდვას ძლიერი ლობისტების ხარჯზე ახერხებენ. სოციალური დახმარების საკითხები კი ხელისუფლების ყურადღებას

გარკვეულ დონეზე მაინც იმსახურებს, რადგან გაზრდილმა პენსიებმა ან გაუმჯობესებულმა ჯანდაცვის სისტემამ ნებისმიერ არჩევნებზე შესაძლოა გადამწყვეტი გავლენა იქონიოს.

განათლების და მეცნიერების პრობლემის გადასაჭრელად მხოლოდ ადგილობრივი აკადემიური რესურსები საკმარისი არ არის; არ უნდა მოგვერიდოს უცხოელი ლექტორების მოწვევა და დასაქმება. თუ ბევრ სტუდენტს პირველი ორი აკადემიური წლის მანძილზე ინგლისური ენის პრობლემა აქვს, მესამე და მეოთხე

კურსზე თავისუფლად შეიძლება მათ-თვის ინგლისურენოვანი პროგრამების შეთავაზება.

დღესდღობით, საქართველოს მთავრობა რამდენიმე მილიონ ლარს ხარჯავს პროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ განხორციელებაზე. პროგრამა გულისხმობს ინგლისურენოვანი (უმრავლეს შემთხვევაში, პედაგოგიური განათლების არქეონე) მასწავლებლების მოწვევას და ქართულ სკოლებში ინგლისური ენის სწავლების წახალისებას. მსგავსი პროგრამები ზოგჯერ ადგილობრივი მოსახლეობის ნაციონალისტურად განწყობილი ნაწილის გაღიზანებას იწვევს, რადგანაც ისინი უცხო კულტურებთან ურთიერთობას ეროვნული იდენტობის დაკარგვის საფრთხედ აღიქვამენ.

განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი საწინააღმდეგო არგუმენტი ხშირად სწორედ ესაა, რომ უცხოელი სპეციალისტების მოწვევამ შესაძლოა ნაციონალისტურად განწყობილი მოსახლეობის (სავარაუდოდ, ძალზე მცირე ნაწილის) აღშფოთება გამოიწვიოს, მაგრამ თუ აქამდე საქართველოს მთავრობა მსგავს ინიციატივებს არ ერიდებოდა, ახლაც მათთა განხორციელება ფინანსური და ორგანიზაციული რესურსების გარდა, სხვა განსაკუთრებულ სირთულეებთან დაკავშირებული არ უნდა იყოს.

თუ ჩვენ სერიოზულად გვსურს, რომ საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში წლილი შევიტანოთ, საკითხისადმი მიდგომა კარდინალურად უნდა შევცვალოთ. პირველ რიგში, მითოლოგიურ წარმოდგენებზე უარი უნდა ვთქვათ და ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის მეცნიერულად დასაბუთებული და უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე მხარდაჭერილი პროგრამა უნდა შევიმუშავოთ. ასევე, ყველა დონეზე გავაუმჯობესოთ განათლების ხარისხი და ეკონომიკის ყველა სექტორი (კერძო და საჯარო) საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებული მუშახელით მოვამარაგოთ. **ც**



## ■ საქართველოში უმაღლესი

### განათლების ბიუჯეტი 2011

#### ნელს შემცირდა და მისი

#### გაზრდა არც მომდევნო

#### წლისთვის იგეგმება. ამის

მიზეზი შესაძლოა ისიც არის,

რომ ამ სექტორს პოლიტიკაში

ყველაზე ნაკლები ლობისტი

ჰყავს.

# ბალაგზის თავისუფლაბა

იმიგრანტები – ორმხრივი სარგებელი

მარკ მალენი



ვიზები ზოგჯერ ძალზე გამაღიზიანებელია და გარკვეული აზრით, ის თანამედროვე ბიუროკრატიული სახელმწიფოს უცნაური პროდუქტია. იდეა, რომ სახელმწიფო ფლობს მინას, უცნაურია და იგი ისტორიის მანძილზე ასე მკვეთრად განსაზღვრული არ იყო. ამგვარი ხედვა ნელ-ნელა ძველდება. მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებაში ახალი მთავრობა მოვიდა, მდიდარი ქვეყნების მოქალაქეებს უფლება მიეცათ, საქართველოში ვიზის გარეშე შემოვიდნენ და შედეგად, საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გახსნილი ქვეყანა გახდა.

თანამედროვე სამყაროში ღია საზოგადოებებს პატივს სცემნ. კარლ პოპერის „ღია საზოგადოების“ იდეა გულისხმობდა ისეთ საზოგადოებას, სადაც სახელმწიფო იყო გამჭვირვალე და ყველას პერნდა შეუზღუდავი წვდომა ინფორმაციაზე. რაც ეკონომიკის გაგება გაუმჯობესდა, სახელმწიფოები მიხვდნენ, რომ მაღალი ტარიფები თავიანთ ქვეყნებსაც და გლობალურ ვაჭრობასაც ზიანს აყენებს. საქონლის თავისუფალი გადაადგილების თვალსაზრისით, თითქმის ყველა ქვეყანა გაცილებით უფრო ღია გახდა.

კაპიტალის გადაადგილება ამ ცვლილებების ტალღას აგრძელებს. ოცდაათი წლის წინ, არც ისე ადვილი იყო ერთი ქვეყნის მოქალაქისთვის მეორე ქვეყანაში ინვესტიციების გაკეთება. დღესდღეობით, თუ ყველაზე დარიბ და ავტოკრატიულ ქვეყნებს არ ჩავთვლით, კაპიტალის გადაადგილების შემზღვდველი ბარიერები არ არსებობს. 2004 წლის შემდეგ, საქართველო ამ გლობა-

ლური ცვლილებების ნაწილია და მას მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ღია ფინანსური რეჟიმი აქვს.

შემდეგი ეტაპი ადამიანების მიმოსვლის გაადვილებაა და ეს ტენდენციაც უკვე ძალაში შედის. პირველ ჯგუფს მდიდრები შეადგენდნენ. იქიდან გამომდინარე, რომ კაპიტალი შეუზღუდავად გადაადგილდებოდა მსოფლიოში, მდიდრებმაც, რომლებიც კაპიტალს ფლობენ, საცხოვრებელი ადგილის ცნებას განსხვავებულად შეხედეს. ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე, ძალიან მდიდრები კიდევ უფრო გამდიდრდნენ. ისინი ხშირად, სეზონურად გადაადგილდებიან და საცხოვრებელს იმის მიხედვით იცვლიან, თუ როგორი საგადასახადო რეჟიმია მოცემულ ქვეყნებში. ავიაბილეთები გაიაფდა და დღეს უფრო მეტჯერ სარგებლობები თვითმფრინავით, კიდრე წარსულში.

ამავე დროს, ღარიბ ქვეყნებში არსებობენ ადამიანები, მათ შორის მდიდრებიც, რომელთაც ვიზის აღება უძნელდებათ. ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე, ბევრ ორსულ ნიგერიელ ქალს, ვისაც ამის საშუალება პერნდა, შეეძლო ირლანდიაში გამგზავრებულიყო და ბავშვი იქ გაეჩინა. ირლანდიური (ისევე, როგორც ამერიკული) კანონის მიხედვით, ყველა, ვინც ირლანდიის ტერიტორიაზე იბადება, ავტომატურად ირლანდიის მოქალაქე ხდება. ამის საშუალება ძალიან ცოტა ნიგერიელს აქვს, მაგრამ ვისაც შეუძლია, მათ უკვე აქვთ ირლანდიური და აქედან გამომდინარე, ევროკავშირის პასპორტები და მთელი მსოფლიოს გარშემო თავისუფლად მოგზაურობენ.

ზოგიერთმა შეიძლება ჩათვალოს, რომ ესეთი კანონები ცუდია – თითქოს ნიგერიელებმა ირლანდიის რაიმე წაართვეს, მაგრამ სინამდვილეში, ამგვარმა ნაბიჯებმა ყველას სიკეთე მოუტანა. მდიდარი ნიგერიელები უფრო თავისუფლად გადაადგილდებიან და მეტი შანსია, რომ განათლებას საზღვარგარეთ მიიღებენ. მათ ასევე ბევრი ინვესტიცია ჩადეს ირლანდიაში, რადგან ამ ქვეყანას თავიანთ ევროპულ ბაზად განიხილავენ.

2004 წლს საქართველომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) თითქმის ყველა წევრისთვის სავიზო რეჟიმი გააუქმა. ამ წაბიჯს პირდაპირი დადებითი შედეგები მოჰყვა: მეტი ტურისტი, მეტი რეგიონალური შეხვედრა და ზოგადად, მეტი გადაადგილება. ეს ყველაფერი განსაკუთრებით კონტრასტულია, თუ აზერბაიჯანში არსებულ სიტუაციას განვიხილავთ. აზერბაიჯანი საარჩევნო სეზონზე უცხოელი უურნალისტების დაბლოკავს ცდილობდა და ამიტომ, მათ მუდმივად ცვალებადი და ბუნდოვანი სავიზო რეგულაციები შემოიღეს – ეს იმ ფონზე, როდესაც მთელი მსოფლიო გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფას ცდილობს. საქართველოს საბაჟო რეგულაციები, სავიზო პროცედურები და აეროპორტები ყველნლიურად უფრო დატვირთული და ეფექტური ხდება. რუსეთსაც ასევე, ნელი, არაკომპეტურული და კორუმპირებული სავიზო პროცედურები აქვს. ამ მიზეზით, რუსეთში, პრაქტიკულად, არცერთი საერთაშორისო შეხვედრა არ იმართება.

ერთი რამ, რაც საქართველოს სხვა

ქვეყნებისგან გამოარჩევს, ის არის, რომ აქ ბევრი უცხოული სახლდება, ყოველგვარი სამსახურის ან სხვა კაუშირის არსებობის გარეშე. შესაძლოა ეს ბუნებრივადაც ჩანდეს, მაგრამ საერთაშორისო პრაქტიკაში ამგვარი შემთხვევები არც ისე ხშირია. ბოლო დროს ერთ გერმანელს შევხდი, რომელიც საქართველოში ეს-ესაა გადმოსახლდა. კითხვაზე, თუ რას აკეთებდა აქ, მიპასუხა, რომ საქართველოში თავისი ცო-

ერაყის მოქალაქეებს შეუძლიათ საქართველოს ვიზის გარეშე ესტუმრონ. სხვა სამხრეთ აზიური ქვეყნების მოქალაქეებს ვიზა სჭირდებათ, მაგრამ მათ მინიმალური ბიუროკრატიული პროცედურების გავლა უწევთ. შედეგები სახეზეა. ადამიანები ამ ქვეყნებიდან საქართველოს სტუმრობენ და ახალ შესაძლებლობებს ეძებენ. ასევე, ყოველთვის სასიმოვნოა, თბილისში რუსი და რუსულად მოლაპარაკე ტურისტების ხილვა, თუ გავითვა-

მენ და ეს შფოთვის საბაბს ქმნის. ინგლისელების შთამომავლები ამერიკაში იმ ირლანდიულ იმიგრანტებზე წარმოდგენენ, რომლებიც 1800-იან წლებში გამოჩნდნენ. ამ იმიგრანტების შვილები ჩიოდნენ იტალიელებსა და ებრაელებზე, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ამერიკაში სახლდებოდნენ. ახლაც კა ბევრი წუხს ლათინოამერიკელ იმიგრანტებზე. იმიგრანტების ქვეყანაშიც კი ასეთი რამები ხდება! ამავე დროს, არ არსებობს უფრო სარწმუნო ნიშანი იმისა, რომ ქვეყანა ძლიერდება და ვითარდება, ვიდრე ის, თუ რა რაოდენობის სტუმარი და იმიგრანტი ჰყავს მას.

პასპორტები მხოლოდ დაახლოებით ასი წლის წინ შემოიღეს. მიიჩნიოდა, რომ ადამიანებს შეეძლოთ ჰქონდათ მხოლოდ ერთი პასპორტი. დღეს ის კარგავს ემოციურ მნიშვნელობას და ხდება, უბრალოდ, მოხერხებული საშუალება. ბევრ ქვეყანაში პასპორტების ყიდვა შეიძლება, ზოგჯერ ლეგალურადაც კი. ეს ქვეყნები ხმამაღლა არ აცხადებენ, რომ პასპორტებს ყიდიან, მაგრამ მათი ყიდვა შეიძლება ე.წ. „ინვესტორების ვიზის“ სახით. ბევრისთვის პასპორტი ბილეთივით გახდა. ისინი მნიშვნელოვანია საგადასახადო და გადაადგილების შეზღუდვების თვალსაზრისით და სხვადასხვა პასპორტს სხვადასხვა გამოყენება აქვს.

ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის პილიტიკა ჭკვიანურია, მაგრამ ინვესტიციებს მოჰყვება ხალხიც. ადამიანების გადაადგილების შეზღუდვა ზღუდავს ინვესტიციებსაც. ერთ დღესაც, ადამიანების განსხვავებულად მოპყრობა მათი ნარმოშობის მიხედვით ისეთივე მიუღებელი გახდება, როგორც კანის ფერის მიხედვით ადამიანების გამორჩევა. მივმართავ იმ ახალგაზრდა ქართველებს, ვინც უნივერსიტეტში შესვლას აპირებენ: ჩვენ უკვე გვყავს საკმარისი სამართლის და კონომიკის სპეციალისტი, ისწავლეთ სპარსული, არაბული და ჩინური, რადგან ამ ქვენებიდან ბევრი ადამიანი ჩამოვა და მათ დახმარება დასჭირდებათ. ისინი საქართველოში ორმხრივი დახმარებისთვის ჩამოვლენ. □



**■ მივმართავ იმ ახალგაზრდა ქართველებს, ვინც უნივერსიტეტში შესვლას აპირებენ: ჩვენ უკვე გვყავს საკმარისი სამართლის და ეკონომიკის სპეციალისტი, ისწავლეთ სპარსული, არაბული და ჩინური, რადგან ამ ქვეყნებიდან ბევრი ადამიანი ჩამოვა და მათ დახმარება დასჭირდებათ!**

ლის გამო იმყოფებოდა. ვიფიქრე, რომ მისი ცოლი ქართველია, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ის ტონგადან ყოფილა (წყარი იკვენის სამხრეთი ნაწილი). მათ საქართველო აირჩიეს, რადგან აქ გერმანიის საელჩოა და ქვეყანას ვიზისა და დასაქმების ლიბერალური რეგულაციები აქვს. ამას გარდა, აქაურობასთან სხვა კავშირები არ ჰქონდათ. რა დიდებული საქმეა საქართველოსთვის!


ახლა საუდის არაბეთის, ირანისა და

ლისწინებთ იმას, თუ რას ამბობს რუსული მედია საქართველოზე. სავარაუდოა, რომ არაბები და ირანელები ინვესტიციებს შემოიტანენ.

საქართველოში არის ხალხი, ვისაც ეს ყველაფერი ანუხებს. ისინი ამბობენ, რომ ეს მათი ქვეყანაა და ახალგამოსულებზე ნერვიულობენ. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ორასი წლის წინ თბილისი საქსე იყო არაბებითა და ირანელებით. „ახლად ჩამოსულებს“ უცხოდ აღიქა-

# "მაკვის შანსი, ეპიზოდები ის, ჩს მოღვაწეობის სახელით ნამათვას"

ინტერვიუ ფილოსოფოს  
ზაზა ფირალიშვილთან



ფოტო: ლევან ჩიქოვა

პიძინა ივანიშვილის პირველი პოლიტიკური განცხადების შეფასებისას თქვით, რომ მას ძალიან კარგი სასტარტო მდგომარეობა ჰქონდა ნარმატების მისაღწევად. ერთ-ერთ არგუმენტად ის დასახელეთ, რომ ქვეყანაში „ოპოზიციური მუხტი და ენერგიის გამხმოვანებლის მოლოდინშია“. რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ამ „ენერგიის“ შეკრება-გაერთიანების და საბოლოო ჩამოყალიბების პროცესი?

სანგრძლივობაზე ვერაფერს გეტბეით, თუმცა პროცესები რომ ძალზე სწრაფად მიდის, ცხადია. ყველაზე სიმპტომური

პროცესების სპონტანურობაა. ადამიანები, რომლებსაც აზრადაც არ მოსდიოდათ ქუჩის აქციებზე გასვლა, საათობით დგანან ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნაზე ხელისმომწერთა და ბანკ „ქართუშში“ ანგარშის გამხსნელთა რიგში.

პიზნესმენის ოპონენტები ხშირად ამბობენ, რომ პიზნესში წარმატება პოლიტიკურ ასპარეზზე იმავე შედეგის მიღწევის გარანტია არ არის. თქვენმა კოლეგამ ზაზა შათირიშვილმა „ლიბერალთან“ საუბარში თქვა, რომ ივანიშვილს გასამარჯვებლად, ფინანსურთან

ერთად, მორალური კაპიტალიც დაეხმარება. როგორი ტიპის პოლიტიკოსად შეიძლება ივანიშვილი ჩამოყალიბდეს?

ალბათ, ჩამოყალიბდება რაციონალური და პრაგმატული ყაიდის ლიდერად, რომელსაც, გარდა ამ თვისებებისა, ის ლირსებებიც აქვს, ოცნებიანმა ქველმოქმედებამ რომ დაგვანახა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი, ჩემი აზრით, გახდება რაციონალური ნების, გონებით მართული ნების მატარებელი ლიდერი. საქართველოს უახლეს ისტორიაში პირველი ცეცხლოვანი ტემპერამენტის მქონე ლიდერი რაციონა-

ლურმა შეცვალა, ეს უკანასკნელი – კვლავ ზეაქტიურმა. როგორც ჩანს, ერთგვარი დაალექტიკა მუშაობს და დღეს ადამიანებმა კვლავ რაციონალური ყაიდის ლიდერისკენ მიაპყრეს ყურადღება. ამ უკანასკნელისგან არ მოითხოვენ ცეცხლოვან ტემპერამენტს ან ორატორულ ნიჭიერებას, მოითხოვენ მხოლოდ იმას, რომ მან თავისი გათვლის უნარითა და განხონასწორებულ ხსიათით ქვეყნა იმ ჩითიდან გამოიყონა, რომელშიც ახლანდელი ხელისუფლის ზეაქტიურობა და მისი გარემოცვის იდეოლოგიურმა შეზღუდულობამ შეიყვანა.

### აქვს თუ არა ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკური ქარიზმა?

ივანიშვილმა ადამიანებს შესთავაზია ბევრი ისეთი რამ, რის დანახვასაც ამდენი ხნის განმავლობაში ელოდნენ: გულწრფელობა, უანგარობა, პიროვნული ძალა, სისადავე. რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ამ ყველაფრის მიღმა დგას ადამიანი, რომელმაც უდიდესი პიზენს-იმპერია შექმნა, მშასადამე აქვს ის რაციონალიზმი, მეთოდურობა და თანამიდევრულობა, რასაც ასე დანატრებულები იყვნენ. მათ დაინახეს კაცი, რომელიც ცუდი მსახიობივთ არ ცდილობს, ითამაროს „მხსნელის“, „ანტიმისას“ ან „კარგი მიმას“ როლი, ან კიდევ ერთხელ შემოვთავაზოს 1989 წლის აპრილისა და 2003 წლის ნოემბრის სკენირების განმეორება, ის ასალ პოლიტიკურ დისკურსსა და ლინგვისტიკას გვთავაზობს. დაუფარავი სისადავე და ხალხურობა მისი უმთავრესი იარაღია. უპრალო ადამიანი მასში თავისიანს სცნობს, ლოინდ ისეთს, რომელმაც გაუძლო უმძიმესი წლების წესებს და გამარჯვებული გამოიყიდა. თავის რაციონალიზმისა და პრაგმატიზმიც იგი ძალზე ხალხური და ნაცნობია. ამიტომაც, ძალზე იოლა, ნებისმიერმა მასთან გააიგოვოს თავი, მასში საკუთარი თავი ამოიცონს. ეს უკვე ის ენერგიაა, რომელიც აუცილებლად მოგვცემს პოლიტიკურ შედეგს.

ესეც თქვენი ქარიზმა, ეგ არის, ჩვენ სხვა ტიპის ქარიზმატულ ლიდერებს ვიყავით შეჩვეულები.

ფინანსური სტაბილურობის ფონდის ფარგლებში განიხილვდა, რომელზეც დიდი ზეგავლენა აქვს. ამ ინიციატივით ბერლინი საკუთარი გავლენის გაზრდას ცდილობს ევროკავშირში. პოლანდის მიერ შემოთავაზებული ინიციატივა კი დამოუკიდებელი თანამდებობის შემუშავებას ისახავს მიზნად, რომლის კონტროლის საშუალებაც მხოლოდ ევროპარლამენტის ექნება, რაც თავისითავად ბერლინის ფარულ მიზნებს სერიოზულ დარტყმას აყენებს. რიუტეს ინიციატივას მხარს საფრანგეთი და ევროკავშირის სხვა წევრებიც უჭერდნენ, მაგრამ გერმანიამ წარმატებით მოახერხა ამ ინიციატივის თავის სასარგებლოდ ბლოკირება. სწორედ ამიტომ შერაცხა 26 ოქტომბრის სამიტი მედიამ გერმანული დიპლომატიის ტრიუმფად.

თუმცა, ეს იყო გერმანიის ტრიუმფი ევროკავშირის წევრ ქვეყნებზე და არა კრიზისზე. მართალია, სამიტზე კრიზისის დასაძლევად კონკრეტული გეგმებიც დაისახა, მაგრამ ეს მცირედი წინსვლაა და ტრიუმფად ვერ ჩაითვლება.

გარდა შიდა რეაგირებისა, ევროკავშირის ქვეყნები ეცდებიან, გარედანაც მიიღონ დახმარება და ამისათვის მათ კარგი საშუალება ეძლევათ 3-4 ნოემბერს საფრანგეთში დაგეგმილ G-20-ის სამიტზე, რომელიც მსოფლიოს ოცი ყველაზე წარმატებული ეკონომიკური ქვეყნის ფორუმს წარმოადგენს.

ბრიტანელში გადაწყდა, რომ მომავალი სამიტის ფარგლებში სერიოზული მოლაპარაკებები ანარმონ საუდის არაბეთთან და ბრაზილიასთან. ეს ის ქვეყნებზა, რომლებმაც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედარებით უმტკივნეულოდ გადალახვა მოახერხეს. პარალელურად კი EFSF-ის აღმასრულებელი დირექტორი კლაუს რეგლინგი უკვე პეტიციი მიყოფება და მოლაპარაკებებს ანარმონებს ფინანსურ დახმარებობაზე დაკარგვის შემთხვევაში, რინგით მართვის გადაცემა და ევროზონიდან გარიცხვაც განიხილება. დახმარების პაკეტის ფისკალური გაკონტროლების ინიციატივა რამდენიმე თვის წინ თავად გერმანიამაც წამოაყენა, მაგრამ ბერლინი კონტროლის სისტემას მის მიერ შემუშავებული ევროპის



ლიბერა

# ლიბერატორის გაცილება

მუამარ კადაფის პოვნა და მისი საერთაშორისო  
სასამართლოსთვის გადაცემა ახალი ლიბიის  
დაბადების სიმბოლო უნდა გამზღარიყო. თუმცა,  
ყოფილი ლიდერის ძალადობრივი სიკვდილი  
ლიბიის დემოკრატიული ამბიციების პირველ  
მარცხად იქცა.

დიანა ჩაჩუა

მისურათას ბაზრის კომერციულ მაცივარს ქალაქის რესტორნები მაღლუჭებადი პროდუქტების შესანახად იყენებენ. ოთახის ზომის საყინულებათან 20 ოქტომბერს უჩეულოდ გრძელი რიგები იდგა. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად შედორდა და მაღლევე უკან გამოდიოდნენ. თუმცა, მაცივრიდან გამოსულებს ხელში ხორცის ან რაიმე სხვა პროდუქტის ნაცვლად მობილური ტელეფონები ჰქონდათ მომარჯვებული. სულ რამდენიმე წუთში მობილურებით გადალებული ფოტოებითა და ვიდეოებით მთელმა მსოფლიომ შეიტყო, რომ მისურათას მაცივარში ლიბიის ყოფილი მმართველის – მუამარ კადაფის ცხედარი ესვენა.

ვიდეოებში კარგად ჩანს, თუ როგორი სიხარულით აღბეჭდავდნენ ლიბიელები საკუთარ მობილურებში ნახევრადშიშველი, სისხლში გასვრილი დიქტატორის ცხედარს.

თუმცა, საერთაშორისო საზოგადოების შეშფოთება არა ამ ცნობისმოყვარელი ბიელების საქციელს, არამედ იმ მოვლენებს მოჰყვა, რაც კადაფის სიკვდილს უძლვოდა წინ.

20 ოქტომბრის დილას, ყოფილი ლიდერის მშობლიური ქალაქის სირტეს აღების შემდეგ, მეომბოხებმა დიქტატორის სამალავს მიაკვლიეს და კადაფი ცოცხლად შეაპყრეს. ზუსტად რა მოხდა შემდეგ და რა პირობებში მოვდა კადაფი, დღემდე განხილვის და გამოძიების საგანია.

ოფიციალური ვერსიით, რომელიც ლიბიის გარდამავალ მთავრობას ეკუთხის, კადაფი მის მომხრეებსა და ამბოხებულებს შორის ორმხრივი სროლის დროს დაიჭრა. როდესაც დაჭრილი კადაფის სასწავლო დახმარების მანქანამდე მიყვანას ცდილობდნენ, ის შემთხვევითმა ტყვიამ იმსხვერპლა.

გარდამავალი მთავრობის მცდელობის მიუხედავად, კადაფის შემთხვევითი სიკვდილის ვერსია გაერცელებინათ, *Youtube*-ზე მობილური ტელეფონებიდან ატვირთული ვიდეოები საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ. ყველა მათგანი ლიბიელებით გარშემორტყმულ დასისხლიანებულ კადაფის ასახავს, რომელსაც ცემით და წიხლებით უსწორდებიან. *GlobalPost.com* ით-მა გაავრცელა ფოტოები, რო-



ფოტო: AP / Getty Images / Reuters

მელზეც აღბეჭდილია, თუ როგორ ცდილობს ერთი კაცი კადაფის სექსუალურ შეურაცხყოფას. რამდენიმე დღეში, უცნობი წყაროებიდან, ინტერნეტში ხელში ატაცებული ახალგაზრდა ლიბიელის ვიდეოც გავრცელდა, რომელიც კადაფის მეცნიერებლობას საკუთარ თავზე იღებს.

ამ მასალების გავრცელების შემდეგ უკვე აღარავის ეპარტობდა ეჭვი, რომ მუამარ კადაფი არა შემთხვევითმა ტყვიამ, არამედ შერისძიებით სავსე მისმა თანამემამულებმა მიზანმიმართულად მოკლეს.

მუამარ კადაფის სიკვდილის ძალადობრივმა გარემოებებმა ჩრდილი მოპფინეს ომის დასრულების და ლიბიის გათავსუფლების აღსანიშნავ კვირას. დასავლელი პარტნიორების მხრიდან უკმაყოფილების

გამო, ლიბიის გარდამავალი მთავრობა კადაფის სიკვდილის გამო იძულებული გახდა იფიციალურად ბოდიშიც კი მოეხადა: „ჩვენ ომის მძვლებზე ძალადობის და მათი ლიკვიდაციის წინააღმდეგნი ვართ. მიუხედავად მის მიერ ჩადენილი არაერთი დანაშაულისა, ჩვენ არ გვსურდა რომ ეს ტირანი სასამართლოში მოხვედრამდე მომკვდარიყო“, – ნათევამი იყო ლიბიის გარდამავალი მთავრობის ოფიციალურ განცხადებაში.

42 წლანი ტირანის შემდეგ, ლიბიელებს სურდათ პირადად გამხდარიყვნენ კადაფის აღსასრულის მომსწრე. ამიტომაც შეპყრობიდან რამდენიმე საათის განმავლობაში, სატვირთო მანქანაზე დასვენებული, სიკვდილის პირას მყოფი დიქტატორი ქალაქის ირგვლივ სადემონსტრაციოდ დაჰყავდათ.



ნაცემი და სისხლოინი კადაფის ხილგამ  
ბევრი ლიბიელი გაახარა, რომლებიც 42  
წლის მანძილზე მხოლოდ მდიდარ სა-  
მოსსა და აქსესუარებში გამოწყობილ  
დიქტატორს იყვნენ შეჩვეულნი. ამან კა-  
დევ უფრო გაამძაფრა ცდუნება, ფოტო-  
ზე აღებეჭდათ კადაფის დასახიჩრებული  
ცხედარი.

ლიბიელების ასეთი განწყობა გარდა-  
მავალი მთავრობისთვის, როგორც ჩანს,  
გასაკვირი არ ყოფილა. როგორც მისუ-  
რათას ცენტრიში კადაფის სადემონს-  
ტრაციონოდ ჩამოტარების ფაქტის კომენ-  
ტირებისას ფინანსთა მინისტრმა აღი-  
თარკუნიმ განაცხადა, ის გაკვირვებუ-  
ლიც კი იყო, რომ ხალხმა ის ნაკურებად  
არ დაგლოვა.

კადაფის სიკვდილთან დაკაშშირებით  
ლეგიტიმურობის, ლეგალურობის და მო-  
რალის შესახებ დებატებმა პოლიტიკური  
წრიდან მედიასა და სოციალურ ქსელებ-  
ში გადაინაცვლა.

მსოფლიოს ცნობილი გაზეთების უმეტესობაში პირველ გვერდზე კადაფის ნახევრადშესველი ცხედრის ფოტოები გამოაქვეყნა, რამაც ბევრგან მოქალაქებისა შემფერონება გამოიწვია. კადაფის სიკვდილის გაშუქება ერთგვარ გამოცდად იქცა საერთაშორისო მედიისთვის, რომელიც არაეთიკური გაშუქებისთვის კრიტიკის ქარცვებისგან გამოიწვია.

The Guardian-ის ვებსაიტზე ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მეოთხეველების 69,3 პროცენტი მედიის მიერ შუაბრივ კადაფის სიკედლილის ამსახველი ფოტოების გამოქვეყნებით უკმაყოფილო იყო.

„ფეისბუქზე“ ლიბიის ახალგაზრდული  
მოძრაობის ოფიციალურ გვერდზე კა-  
დაფის სისხლიანი სხეულის და შემდეგ  
ცხედრის ამსახველი ფოტოების კოლაჟი  
300-ზე მეტმა ადამიანმა მოიწონა. „მან  
მიიღო ის, რაც დაიმსახურა“ – ფოტო-  
ების ქვეშ ძირითადად ასეთი შინაარსის  
კომენტარებია. უმცირესობაში აღმოჩნდ-  
ნენ ისინი, ვინც ეთიკიდან და მორალი-  
დან გამომდინარე ცხედრის ფოტოების  
ნაშროვა ითხოვდნენ.

ლიბის მთავარი გამოწვევა ახლა იმსა  
დამტკიცება იქნება, რომ ყოფილ ლი-  
ცერთან ანგარიშს სწორების ფორმა სამო-

მავლოდ კადაფის მომხრევბთან, ძველი  
რეჟიმის ან მისი ტომის ნარმომადგენლე-  
ბთან გამკლავების მეთოდად არ იქცევა.

თავის შერივ, კადაფის გადარჩენილ  
მომხრეებს ლიდერის ძალადობრივმა სი-  
კვდილმა შესაძლოა შურისძიების სურვი-  
ლა გაუზინოს.

დაპირისპირების ნიშნები კადაფის მშობლიურ ქალაქ სირტეში უკვე გაჩნდა. კადაფის დასაფლავების დღეს, ერთ-ერთი სასტუმროს ეზოში 53 ადამიანის გვამი იპოვეს. The Times-ის ინფორმაციით, მათგან „მინიმუმ 20 რი კადაფის მთავრობის წარმომადგენელი, ასევე ერთგული მებრძოლები იყვნენ.“

„ეს ომი არ დასრულებულა. ეს ომი  
მხოლოდ ახლა დაიწყო“, – უთხრა სირ-  
ტეს ერთ-ერთმა მოქალაქეებმ ბრიტანულ  
Daily Mail-ს. „შეხედეთ ამ აფეთქებას, ამ  
გვამებს. ამას შერისხიერა ჰქვაა“, –  
უთხრა 27 წლის მუჰამედმა ბრიტანულ  
გამოცემას.

კადაფის წინააღმდეგ ძალის გამოყენება და მისი მკვლელობა არც რელიგიური კუთხით იყო ლეგიტიმური. ყურანი კრძალავს ომის დროს დაჭრილ ჯარისკაცზე თავდასხმას ან უკიდურეს მდგომარეობაში მყოფი ადმინისტრაციის მკვლელობას. ეს კადაფის თანამემამულეებმა „ნატოს“ ჯარისკაცებზე და ევროპელ ლიდერებზე უკეთ იციან, ამიტომაც ბევრი შიშობს, რომ ლიბიელებს შურისძიებისთვის გასამართლებელი საბუთი ეწნებათ.

რელიგიურ კანონში კადაფიც კარგად  
ერკვეოდა. მან იცოდა, რომ მისი ასეთი  
გზით მოშორება ისლამის წესით აერძა-  
ლული იყო. მობილურით გადაღებულ  
ერთ-ერთ ვიდეოში მუამარ კადაფი ენს  
ბორძიკით სწორედ ამის თქმას ცდილო-  
ბს გარშემორტყმული პრბოსტყის: „რას  
აკეთებთ? განა არ იცით განსხვავება  
სწორსა და არასწორს შორის? Haraam...  
Haraam...“

ისლამური ტრადიციით, მიცევალებული  
მტრის სხეულს მის ოჯახს უბრუნებენ.  
მუამარ კადაფის მშობლიური ტომი სწო-  
რედ ამას ითხოვდა. თუმცა გარდამავალი  
მთავრობის გადაწყვეტილებით, ლიბიის  
ყოფილი ლიდერი მისურათადან სამხრე-  
თით, უდაპნოში, გასაიდუმლობრივ ად-  
გილას დამარხეს. **█**

„ԵՍ ՈԹՈ ԱՐ

დასრულებულა. ეს ომი  
მხოლოდ ახლა დაიწყო“, –  
უთხრა სირტეს ერთ-ერთმა  
მოქალაქემ პრიტანულ  
**Daily Mail-ს.** „შეხედეთ  
ამ ადგილს, ამ გვამებს.  
ამას შურისძიება ჰქვია“, –  
უთხრა 27 წლის მუჟამედმ  
ბრიტანულ გამოცემას.

თვალსაზრისი

# საბჭოთა წავშიუ "იუს" და "ჩვენთანას"

რა განსხვავებაა ქართველ აგენტსა და აფხაზ აგენტს შორის?

### ახრა სმირნი

ვიდრე ქართველ კოლეგებთან ურთიერთობას დავიწყებდი, ჩემს ცხოვრებაში აფხაზეთის მთავრობა სერიოზულად არასოდეს ჩარეცლა.

პრობლემები აფხაზეთში ნუმერაციის ახალი სისტემის შემოღებით დაიწყო – აფხაზეთმა ქართული +995-ის ნაცვლად, რუსული +7-ით დაიწყო რეკვა. თუმცა პრობლემები მე კი არა, მათ შეექმნათ,

ვინც ჩემთან დაკავშირებას საქართველოდან ცდილობდა.

გარკვეული პოლიტიკური თუ ტექნიკური შეზღუდვების გამო თბილისიდან „სეპარატისტულ-ოკუპაციურ“ სატელეფონო ნომრებთან დაკავშირება ძალიან რთულია. სიტუაციის კომიკურობა კი ისაა, რომ თუ მაინც მოახერხებთ დარეკვას, საუბარს ფონად აუტანელი

შრიალი გასდევს. მოგესალმებით, ამხანაგო ოპერატიულო მორიგევ!

თუ ამ ოპერატიულ მუშაკს წარმოვიდგენთ, ის დაახლოებით 40 წლის, კეთაზე გამელოტებული და ლეიტენანტზე არანაკლები წოდების მქონე მამაკაცი უნდა იყოს.

ოდესალაც ის იმედისმომცემი ახალგაზრდა სტუდენტი იყო, თუმცა ომმა,

■ ჩემი ოპერატიული მუშაკი, რომელიც პასეანსების შლასა და სიგარეტის მოწევას შორის, ჩემს საუბრებს ისმენს, რალა თქმა უნდა, ნაძირალაა, ოღონდ ზარმაცი ნაძირალა, რომელიც მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს არაფრით მოცდება.



ომისშემდგომმა სიტუაციამ და სპეციალური უნარების არქონამ ერთ ჩვეულებრივ „კომპიუტერშიკად“ აქცია. რადიოტექნიკისადმი საბჭოთადროინდელმა ინტერესმა კი საბოლოოდ სპეცსამსახურებამდე მიიყვანა.

კავშირების არქონის გამო ის ერთ ბანალურ ოპერატურაზე გამამწესეს. მისი კაბინეტიც თვალწინ მიდგას – ირგვლივ საბჭოთადროინდელი მოწყობილობები და სიგარეტის ნარჩენებით სავსე საფერფლები, რომელთა ფონზე თანამედროვე კომპიუტერი უცხოპლანეტელების ცივილიზაციის მონაპოვარს წააგავს. ჩემი აგენტი კომპიუტერში ოსტატურად უწყლავდება პასეანსს, შესვენებებისას კი უფროსობისთვის mp3 ფაილს ამზადებს სახელწოდებით „ახრა სმირი, უურნალისტი.“ ასეთია ჩემი აგენტი.

ოდნავ ნაკლები დამაჯერებლობით, მაგრამ მაინც შევეცდები ქართველი ოპერატურაზე დახატვასაც. თვალწინ ახალგაზრდა, ოდნავ უტიფარი, ქართული სტანდარტებით კარგი განათლების მქონე კაცი წარმომიდგენია. მასაც, სულ მცირე, ლეიტენანტის წოდება უნდა ჰქონდეს. ის სრულყოფილად ფლობს ინგლისურს, თუმცა თავისი აფხაზი კოლეგის მსგავსად, ისიც აბონენტების მოსმენებით არის დაკავებული – სამშობლოსთვის, რა თქმა უნდა. შუშებინან შენობაში მდებარე მისი კაბინეტი თანამედროვე ერგონომიული ავეჯით და აპარატურითა აღჭურვილი. ის პასეანსს არ თამაშობს. ის, საერთოდაც, თაგა საქმისაგან მოცდენის უფლებას არ აძლევს. მის მონიტორზე ადამიანთა დიდი ჯგუფის შესახებ მონაცემები ჩანს. სპეციალური პროგრამები ათობით და ასპირით არასანდო ადამიანის მიმოწერას, გადადგილებას და საუბარს იწერს. ამ ოპერის და მისი მსგავსი რევოლუციის ერთგული რაინდების მუშაობის წყალობით, ახლახან სახელმწიფო გადატრიალების მორიგი მცდელობა აიცილებს. ქართველი პოლიციების მიერ და ასპირით არასანდო ადამიანის მიმოწერას, გადადგილებას და საუბარს იწერს. ამ ოპერის და მისი მსგავსი რევოლუციის ერთგული რაინდების მუშაობის წყალობით, ახლახან სახელმწიფო გადატრიალების მორიგი მცდელობა აიცილებს. ქართველი პოლიციები – სწორედ ის არის საქართველოს ახალი ხელისუფლება. და სწორედ ამ პოლიციელის ეფექტურ მუშაობაზეა დამოკიდებული ამ ხელისუფლების ძლიერებაც. პოლიციელი კი მეტზე ოცნებობს.

ეს ორი აგენტი დაახლოებით აღწერს იმას, თუ ვინ ვართ დღეს „ჩვენ“ და ვინ არიან „ისინი“.

ჩემი ოპერატიული მუშაკი, რომელიც პასეანსების შლასა და სიგარეტის მოწევას შორის, ჩემს საუბრებს ისმენს, რაღა თქმა უნდა, ნაძირალა, ოღონდ ზარმაცი ნაძირალა, რომელიც მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს არაფრით მოცდება.

ის არ ფიქრობს, რომ უურნალისატ ახრა სმირის და მისი ქართველი კოლეგების უწყინარი, ადგილ-ადგილ უხამსობის შემცველი საუბრების მოსმენით ერს შველის. მან იცის, რომ ამ საუბრებში არ არის და რაც მთავარია, ვერ იქნება ვერაფერი, რაც მისი ქვეყნის უსაფრთხოებას საფრთხეს მიაყენებდა. ჩემი აგენტი თავისი საქმით არ ამაყობს და ნაკლებად სავარაუდოა, ამით მეგობრები ტრაბახობდეს. ჩემს სატელეფონო მისალმებაზე – „გამარჯობა, ამხანაგო ოპერატიულო მორიგევ“ – ის, ალბათ, სევდანი ლიმილით პასუხობს. ცხოვრებაში იგი ალბათ სოხუმის ქუჩებში ძველ „ოპერს“ დაატარებს და უბადრუები ხელფასის ნახევარს ჩასაფრებულ „გაიშინიებს“ აძლევს. ბოლო მშობელთა კრებაზე მის მეუღლეს მოახსენეს, რომ სკოლის მოსაკრებელი იზრდება. მას სახელმწიფო საქმე ფეხებზე ჰქიდია და ზუსტად იმდენს მუშაობს, რამდენიც ევალება. და ასე პენსიამდე.

მისი ქართველი კოლეგა ყველაფერს სხვაგვარად აღიქვამს. ის ენთუზიაზმითაა სავსე. მან იცის, რომ „ვარდების რევოლუციას“ დაცვა სჭირდება. მას კარგად ესმის, რომ გარეგნულად უწყინარ საუბრებში, რომელსაც ის დღე და ღამე უსმენს, ღალატი იმალება. ღალატი ყველა კუთხისა და მასთან ბრძოლაა საჭირო. შესაძლოა ის ფოტოგრაფები სულაც არ არიან დამნაშავეები, თუმცა მათი შეხედულებები და უპასუხისმგებლობა, რაც უცხოური სააგენტოებისთვის აქციის დაშლის ამსახური კადრების გადაცემაში გამოიხატებოდა, თავისთავად დანაშაულის ტოლფასი იყო.

ჩემი აფხაზი ოპერატიული მუშაკი

თავის ინსტიტუტისდროინდელ მეგობართან ერთად სვამს ხოლმე. გულახდილობის წუთებში მათ ასეთ რამეს უუბნება: „იცი, მთელი ეს მოსმენები ინერციით მიმდინარეობს. ვერაფრით ვერ მოვიშორეთ საბჭოური ჩვევები. ისაუბროს უურნალისტმა ახრა სმირმა, ვისთანაც უნდა და წეროს, რაზეც უნდა. ის ჩვენთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. ჩვენთვის საფრთხეს კორუფცია და სახელმწიფო აპარატის იმპოტენცია წარმოადგენს. ჩემნაირები – ზარმაცები და უინიციატივობის უზაკები, კიდევ ერთი საფრთხეა. ჩვენი იმ საბჭოური მექანიზმის უკანასკნელი ხრახნები ვართ, რომელსაც ექსპლუატაციის ვადა გაუვიდა და მაღლეთვითნევე გაჩერდება“. აღმართ, რეალობაში თავისი აზრს ის გაცილებით მძაფრად გამოხატავს, თუმცა მთლიანობაში შინაარსზე პასუხს ვაგებ.

ამ ორი გამოგონილი პერსონაჟის შედარებისას, ჩემი სიმპათიები პირველისკენ იხრება. რა თქმა უნდა, იმიტომ არა, რომ ის ჩემი თანამემამულეა. უბრალოდ ის საბჭოთა სისტემის დაშლის ბოლო ელემენტია, რომელიც რაღაც უკეთესით ჩანაცვლებას გვპირდება. ახალი სისტემა აუცილებლად გაცილებით თავისუფალი, სამართლიანი, ენერგიული და მოწესრიგებული იქნება. ჩემი აგენტის ქართველი კოლეგა კი ახალი საბჭოთა სისტემის პირმშოა, თავისი თვითნებობით, მოქალაქეების პირად ცხოვრებაში უცერებონი ჩარჩებით და თავდაჯერებულობით, რომ სახელმწიფოს ინტერესების სახელით უბრალო ადამიანების ბედით თამაში შეიძლება. ც

**სტატიაში გამოყენებული  
ტერმინოლოგია ეკუთვნის ავტორს და  
არა „ლიბერალს“.**

 **HEINRICH BÖLL STIFTUNG**  
სტატიაში მომზადებულია პანრიპ ბიოლის ფონდის მხრიდაჭრით. ამ პაბლიკაციაში გამოიქმედება შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი. გამოხატავდეს პანრიპ ბიოლის შეხედულებებს.

## "მასწავლებლის სახი" - შაშტანის "ცნობასებულებრივი პროცესი პროცესი"

პედაგოგთა პროფესიული გადამზადება ისევ სახელმწიფოს პრეროგატივა ხდება.

### ლიკა ზაკაშვილი

2011 წლის 6 ოქტომბერს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშვილმა გლდანის მე-7 მიკრორაიონში, პოლიციის აკადემიის გვერდით, მასწავლებლის სახლი გახსნა. ახალი შენობა, ბოლო წლებში გახსნილი ადმინისტრაციული შენობების მსგავსად, გამჭვირვალეა, აქ მასწავლებლებმა პროფესიული გადამზადება უნდა გაიარონ. მინისტრმა მასწავლებლის სახლს „უნიკალური ქართული პროდუქტი“ უნდა და აღნიშნა, რომ სახლი „სრული 24 საათის განმავლობაში მოემსახურება პედაგოგებს“. განათლების ექსპერტთა და პედაგოგთა ერთი ნაწილი ამ წამოწყებას სკეპტიკურად ხვდება.

განათლების მინისტრი ერთ-ერთ ინტერვიუში, რომელიც უურნალ „მასწავლებლის“ ნოებრის ნოებრში დაიბეჭდა, მასწავლებლებს ჰქილდება, რომ ყველა ის ობიექტური მიზეზი: დროის დეფიციტი, მცირენლოვანის დატოვების პრობლემა და სხვა, რის გამოც მასწავლებლები ადრე ვერ ახერხებდნენ პროფესიული განვითარების ტრენინგების მიზნით მონაბეჭდის სახლში მიზნით მონაბეჭდის სახლში მათ ექნებათ, რადგან „მასწავლებლის სახლში მათ ექნებათ საშუალება, შეიღები ბავშვთა ოთახში პროფესიონალ ძიებთან დატოვონ და თავად პროფესიული განვითარების პროგრამებში მიიღონ მონაბეჭდისას“. მათ, ვინც სამინისტროს მაღალჩი-

ნოსანთა ოპტიმისტურ რიტორიკას არ იზიარებს, მიაჩინათ, რომ შეუძლებელია ერთმა ცენტრმა უზრუნველყოს ისეთი მრავალფეროვანი ტრენინგ-პროგრამების მომზადება, რომელიც თანაბარად დააკმაყოფილებს როგორც სერტიფიცირებულ, ისე არასერტიფიცირებულ პედაგოგთა განსხვავებულ პროფესიულ საჭიროებებს. ისინი მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების აქამდე არსებულ წესს უფრო მოქნილ და ეფექტურ მეთოდად მიიჩნევენ.

2009-2010 წლებში მასწავლებლებს არა ერთი „სახლი“, არამედ რამდენიმე დამოუკიდებელი პროფესიული ტრენინგ-ცენტრი ემსახურებოდა. ეს ორგანიზაციები მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე განათლების სამინისტროში აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით მუშაობდნენ. ტრენინგ-ცენტრები ფორმით კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, ანუ შპს-ებს წარმოადგენენ, ისინი საქართველოს მთელ ტერიტორიას მოიცავენ. 2011 წლამდე სქემა ასეთი იყო – მასწავლებელი საკუთარი პროფესიული საჭიროებიდან გამომდინარე ირჩევდა ტრენინგ-ცენტრს და იქ განათლების სამინისტროს მიერ გაცემული ვაუჩერის საფასურად სწავლობდა. ეს იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელი ფულს საკუთარი ჯიბიდან არ იხდიდა, მას სახელმწიფო ვაუჩე-

რული სისტემით აფინანსებდა, ეს კი კერძო ტრენინგ-ცენტრების ძირითადი შემოსავალი იყო.

2010 წლის სასერტიფიკაციო გამოცდების შემდეგ გაირკვა, რომ პედაგოგთა მხოლოდ 12%-მა გადალახა საგამოცდო ბარიერი. სწორედ ეს მაჩვენებელი იყო იმის მიზეზი, რის გამოც განათლების სამინისტრომ მის მიერვე აკრედიტებულ ტრენინგ-პროგრამებს უნდობლობა გამოუცხადა და 2011 წლიდან სასერტიფიკაციო გამოცდებზე გამსვლელი პედაგოგების გადამზადების ვალდებულება საკუთარ თავზე აიღო.

მინისტრის განცხადებით, მას შემდეგ, რაც მასწავლებელთა ტრენინგებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ატარებს, სასერტიფიკაციო გამოცდებში მასწავლებელთა შედეგები გაუმჯობესდა. „2011 წელს სერტიფიცირებულ მასწავლებელთა რაოდენობა ორჯერ გაიზარდა“, – განაცხადა მინისტრმა, მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე. აღნიშნული შედეგი განათლების სამინისტროს ვებგვერდზეც განთავსდა.

თუმცა, მინისტრს არ განუმარტია, რომ საატესტაციო გამოცდაზე 2010 წელს 10 000, ხოლო 2011 წელს – 24 000, ანუ ორჯერ მეტი პედაგოგი გავიდა, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო სერტიფიცირებულ პედაგოგთა რაოდენობის ორჯერ



## ■ 2011 წლიდან მასწავლებლებს უფასოდ, ანუ სახელმწიფოს

**ხარჯზე გადამზადება თუ სურთ, მხოლოდ „მასწავლებლის სახლს“**

**უნდა მიაკითხონ.** თუკი მასწავლებელს კერძო ტრენინგ-ცენტრში სურს კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამის გავლა, მან ამისთვის ფული ახლა უკვე საკუთარი ჯიბიდან უნდა გაიღოს. ასეთ ხარჯს კი, პედაგოგთა უმრავლესობა თავს არიდებს.

გაზრდისთვის. პროცენტული მაჩვენებელებით თუ ვიმსჯელებთ, ბევრად უკითხს შედეგს ვერც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა მიაღწია. „წინსვლა“ სულ რაღაც 0,5% – ს შეადგენდა.

კერძოდ, 2010 წელს, როდესაც პედაგოგებს ტრენინგ-ცენტრები ამზადებდნენ, გამოცდაზე გასული 10 000 მასწავლებლიდან სერტიფიკატი აიღო 1200-მა, ანუ 12%-მა. 2011 წელს, მას შემდეგ, რაც საქმეში პროფესიული განვითარების ცენტრი ჩაერთო, გამოცდაზე გასული 20 000 პედაგოგიდან სერტიფიკატი აიღო 2500-მა, ანუ 12.5%-მა.

2011 წლიდან მასწავლებლებს უფასოდ, ანუ სახელმწიფოს ხარჯზე გადამზადება თუ სურთ, მხოლოდ „მასწავლებლის სახლს“ უნდა მიაკითხონ („სახლის“ გახსნამდე ამ ფუნქციას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ასრულებდა, რომელიც განათლების სამინისტროს შენობაში მდებარეობდა). თუკი მასწავლებელს კერძო ტრენინგ-ცენტრში სურს კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამის გავლა, მან ამისთვის ფული ახლა უკვე საკუთარი ჯიბიდან უნდა გაიღოს. ასეთ ხარჯს კი, პედაგოგთა უმრავლესობა თავს არიდებს. განათლების სამინისტროს აღნიშნუ-

ლი გადაწყვეტილების შემდეგ 2009-2010 წლებში ჩამოყალიბებული ტრენინგ-ცენტრები რესურსების გარეშე დარჩნენ. პირად საუბრებში პედაგოგები აცხადებენ, რომ ამ გადაწყვეტილების გამო თავად ისინიც დაზარალდნენ, რადგან შეეზღუდათ პროფესიული საჭიროებიდან გამომდინარე ტრენინგ-ცენტრის თავისუფლად არჩევის საშუალება.

„გაუჩერის მიღების შემდეგ, მეც და ჩემი სკოლის პედაგოგებიც უამრავ პროვაიდერს ვუკავშირდებოდით, ვარჩევდით, თუ სად ჯობდა სასწავლო კურსის გავლა, ვითხულობდით ანოტაციებს, ვადარებდით ერთმანეთს და ასე ვირჩევდით საუკეთესოს“, – იხსნებს მანანა, ერთ-ერთი სკოლის პედაგოგი, რომელმაც ანონიმურად დარჩენა ისურვა. ამჟამად მას ტრენინგ-ცენტრის მებში მონანილეობის მიღება მასწავლებლის სახლში შესთავაზეს, თუმცა იგი ვარაუდობს, რომ ტრენინგები ზოგადი ხასიათის იქნება, რის გამოც ჯერ ვერ გადაუწყვეტია, ივლის თუ არა ტრენინგებზე. „ანოტაცია არ ჰქონდათ, მხოლოდ სათაურებს გადაეხედეთ და სათაურების მიხედვით ვეჭვობ, რომ ტრენინგები ზოგადი ხასიათის იქნება“, – აღნიშნა მანანამ. მისივე თქმით, მასწავლებლის სახლის ყველაზე დიდი ნაკლი მისი ადგილმდებარეობაა. „ძალიან შორს არის, ორი ტრანსპორტი უნდა გამოიცვალო, რომ იქამდე მიაღწიო, ეს ბევრს შეუქმნის ბარიერს“.

თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის პედაგოგი, რომელმაც ასევე ანონიმურად დარჩენა ისურვა, ამბობს, რომ მასწავლებლის სახლის მდებარეობა მისთვისაც არახელსაყრელია. „გასულ კვირას ვიყავით მასწავლებლის სახლში. წასვლა საგალდებულო იყო. შეგვედრა შენობის მე-5 სართულზე გაიმართა. სახლის თანამშრომლებმა გაგვაცნეს მასწავლებლის სახლის კონცეფცია და გვითხრეს, რომ მზად არიან დაიწყონ ჩვენთან თანამშრომლობა. შეგვევდა გა მამულაშვილი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის


# განათლება

დირექტორი. მან ზოგადად ქართულ საჯარო სკოლაში არსებულ პრობლემებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ბავშვების 80% - ს სკოლაში მისვლა არ უხარია. მიზეზად სკოლაში არსებული არაობიერტური და უსამართლო გარემო დაასახელა. სახლი მომენტისა, კეთილმოწყობილი და თანამედროვე, მაგრამ ძალიან შორს არის, ჩემს კოლეგებთან საუბარშიც გამოიკვეთა, რომ ყველა ჩემს აზრს იზიარებდა, მიუხედავად იმისა, რომ მაინტერესებს და მესაჭიროება კონკრეტულ ომებზე და საკითხებზე გადამზადება, სამსახურის შემდეგ, ამ სიმორეზე სიარული გამიჭირდება", – დასძინა პედაგოგმა. როგორც იგი ამბობს, გაცილებით ხელსაყრელი იყო გასული 2010 წელი, როცა ტრენერების ჯგუფი, სკოლასთან შეთანხმებით, მათთან სკოლაში მოდიოდა და ადგილზე, სკოლიდან გაუსვლელად, უტარებდა კვალიფიკაციის ასამაღლებელ მეცანიერებებს.

მასნავლებლის სახლის მდებარეობა არ მოსწონს თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის დირექტორსაც. მისი აზრით, პროექტის ავტორებმა არ გაითვალისწინეს გადაადგილებასთან დაკავშირდული სირთულეები. „პედაგოგთა ნაწილმა ამ წინააღმდეგობისა და სხვა მიზეზების გამო შეიძლება დაკარგოს პროფესიული განვითარების პროგრამები მონაწილეობისა და კარიერული წინსელის სურვილი“, – ამბობს იგი. მაგალითად კი, მისი ერთ-ერთი პედაგოგის შემთხვევა გაიხსენა. „მასნავლებლის სახლში ვიზიტის დროს ჩემი სკოლის პედაგოგი ტრენინგზე ჩაეწერა. თუმცა, გადაწყვეტილება შეცვალა, როცა დაურეკეს და უთხრეს სემინარების ჩატარების დღე და საათი“.

სკოლის დირექტორის აზრით, სამინისტროს უნდა გაეთვალისწინებონა, რომ სახელმწიფოსთან ერთად მასნავლებლის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის ვალდებულება სკოლასაც აქვს. „მაგალითად, შარშან, სანამ დაფინანსების ფორმულა შეიცვლებოდა და სკოლის ბიუჯეტი შემიმცირდე-

ბამოსლაზე ბასებ და სახელისმისამართის აუდიტი 2010-2011 წელი.



ეტაპი უკვე გავიარეთ, კომუნისტების დროს, როცა იქმნებოდა მასნავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტები", – აღნიშნავს ინასარიძე.

განათლების ექსპერტ თამარ მოსიაშვილის აზრით, სერტიფიცირებულ და არასერტიფიცირებულ მასნავლებლებს განსხავებული მიღვომა ესაჭიროებათ. მისთვის გაუგებარია, როგორ უნდა შექმნას ერთმა, თუნდაც ფეშენებელურ შენობაში განთავსებულმა სასწავლო ცენტრმა, იმდენი საკალიფიკაციო რესურსი, რომ გაითვალისწინონ ყველა კატეგორიის მასნავლებლის საჭიროება. „თეორიულად ეს არის წარმოუდგენელი", – აღნიშნავს თამარ მოსიაშვილი. მისი თქმით, „სახელმწიფო თავის ქოლგის ქვეშ მოაქცია ის საქმიანობები, რომელთა უფექტურად განხორციელების უნარი მას არ გააჩნია.“

მოსიაშვილს კითხვები აქვს ტრენინგ-პროგრამების ხარისხთან დაკავშირებითაც. „2010 წლამდე, სხვადასხვა კერძო ორგანიზაციის მიერ დაწერილ ტრენინგ-პროგრამებს სახელმწიფო აკრედიტაციის სამსახური ამონებდა. როცა თავად სამინისტროა პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების განმახორციელება, რომელმაც მასნავლებლებთა პროფესიული მომზადების სისტემის ლიბერალიზაციის ნაცვლად, მისი სრული მონოპოლიზაცია მოახდინა", – ამბობს იგი.

მასნავლებლის სახლში, ცენტრალიზებულად, ერთ სივრცეში ყველა ტრენინგ-პროგრამის განხორციელების პრაქტიკა, მაია ინასარიძის შეფასებით, წარსულში დაბრუნებაა: „ჩვენ ეს

გოგებს სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების შესაძლებლობა უნდა შესთავაზოს. "სკოლის ბაზაზე პროფესიული გადამზადება გულისხმობს პროცესს, როცა ექსპერტები მიდიან სკოლაში და სკოლის ბაზაზე ეხმარებიან პედაგოგებს პროფესიული განვითარების ზრდაში, ეს გზა ძალზე ეფექტური და აპრობირებულია მსოფლიოში, რადგან სკოლაში ყველაზე კარგად ჩანს პრობლემები, რომელიც პედაგოგებს ექმნებათ სასწავლო პროცესის გადაწყობასთან დაკავშირებით", – აღნიშნავს თამარ მოსიაშვილი.

სკოლის ბაზაზე მასწავლებლთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის იდეას იზიარებს მაა ინასარიძეც, გარდა ამისა, იგი მიიჩნევს, რომ სამოთხო დღიანი ტრენინგები საკმარისი არ არის იმისთვის, რომ პედაგოგმა რეალური ცვლილებების

შეტანა შეძლოს სასწავლო პროცესში: „ძალაში რთულია ძველი სისტემის, განსხვავებული თეორიული ცოდნის მქონე პედაგოგს მოსთხოვო სასწავლო პროცესის ოთხ დღეში ისე გადაწყობა, რომ სრულად უპასუხოს ზოგადი განათლების რეფორმის სულისკვეთებას, გახადოს კლასი ინტერაქტიული, შემოქმედებითი და მოსწავლეზე ორიენტირებული", – ამბობს იგი. ამის დასტურად იგი სერტიფიცირებულ პედაგოგთა გამოცდილებას იშველიებს, რომლის თანახმადაც ახალი მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება თვით სერტიფიცირებულ პედაგოგებსაც უჭირთ. ისინი ფლობენ ცოდნას ახალი მეთოდების შესახებ და სერტიფიკატიც სწორედ ამიტომ მიიღეს, მაგრამ პრაქტიკაში ამ ცოდნის დამკვიდრება მათთვისაც კი როულია. ექსპერტ თამარ მოსიაშვილის თქმით,

მასწავლებლთა პროფესიული განვითარების პროგრამა მხოლოდ სერტიფიცირების გამოცდაზე გასვლით და შესაბამისი სერტიფიკატის მინიჭებით არ სრულდება. მთავარი პროფესიული განვითარების და კარიერული ზრდის ეტაპია, როცა სერტიფიცირებული პედაგოგი ეტაპობრივად, კარიერულ ზრდაზე და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნავს.

ჩვენ აღიშნულ საკითხებზე კომენტარი განათლების სამინისტროსაც ვთხოვთ. შეკითხვებზე, რომელიც ელექტრონული წესით გავაგზავნეთ, პასუხი არ მიგვიღია, როგორც პრესსა-მსახურის თანამშრომელმა, თეონა ჭეადუამ სატელეფონო საუბრისას განგვიმარტა, მსგავს შეკითხვებზე პასუხის გაცემა ორ-სამ დღეში შეუძლებელია და, სულ მცირე, ათდღიან ვადას საჭიროებს. ■

**ბიზნესის კორსონალური რადიო**

**Radio Commersant**

**FM 95.5**

**Commersant.ge**

# მარტინაცობის ფონები - ცავი

საქართველოს ციხეებში სასჯელს ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრებიც იხდიან, რაც, სახალხო დამცველის შეფასებით, წამების და არაადამიანური მოპყრობის ტოლფასია.

### ზურაბ ვარდიაშვილი

„მსჯავრდადებულს აღნიშნება მარცხენა ფერდევება მიდამოში 8 სმ სიგრძის ნაკვეთი ჭრილობა“;

„მარცხენა ჰიპოგასტრიუმში მიყენებული აქვს ნაკვეთი ჭრილობა, საიდანაც მოჩანს ლითონის უცხო სხეული 3 მილიმეტრის დიამეტრით“;

„ჭრილობაზე დადებულია ძაფნაკერები, დაფარულია ფუფხით, გულმკერდის მარცხენა ნახევარში აღნიშნება ნაკვეთი ჭრილობა ზომით 18 სანტიმეტრამდე, ასევე მუცლის და ზედა კიდურების არეში მრავლობითი ერთმანეთის პარალელური, ნაკვეთი ჭრილობების ნაწილურები, ბარძაყის არეში ტოტალური სისხლჩაქცევები, მოლურჯო-მოყვითალო ფერის...“

ეს გახლავთ მცირე ამონარიდი პატიმარ ნუგზარ თაბაგარის სამედიცინო გამოკლევებიდან, რომელიც პაციენტს ციხის ექიმებმა სხვადასხვა დროს ჩაუტარეს.

32 წლის ნუგზარ თაბაგარი წამების მსჯერპლა რეაბილიტაციის ცენტრ „ემპათიის“ თანამშრომლებმა პირველად 2009 წელს მოინახულეს. ცენტრის სპეციალისტებმა მსჯავრდადებულის ციხის საავადმყოფოში გადაყვანა მოითხოვეს. „ემპათიის“ ხელმძღვანელის, მარიამ ჯიშკარიანის თქმით: „პატიმარს ფსიქიკური პრობლემები აქვს და ხშირად იზიანებს თავს – იწვავს და ისერავს სხეული...“.

როგორც მსჯავრდადებულის ადვოკატი ბესარიონ ბოჭორიშვილი ამბობს, თაბაგარს 2008 წელს ხონის დანესებულებიდან გაქცევის ორგანიზება დააპრალეს და სასტიკად ცემეს. ამის შემდეგ, მას დაეწყო პიროვნული აძლილობა და მიიყენა თვითდაზიანებები. „პატიმარი ამ ფორმით ციხის ადმინისტრაციის მხრიდან ცუდ მოპყრობას აპროტესტებს. ფსიქოლოგიური რეაციაა“, – გამარტავს ჯიშკარიანი. „...პაციენტი ვერ



ეგუება ციხის გარემოს, დაკარგული აქვს ადაპტაციის უნარი. რეუიმის ხშირი დარღვევის და კონფლიქტების გამო, მისთვის „გამოწერილი“ აქვთ „მკურნალობის მეთოდი“ – ცემა.

პატიმრის მონათხრობის მიხედვით, 2008 წლის 16 აგვისტოს, დაკავების დღეს, ჯერ სპეცირაზმელებმა ცემეს, შემდეგ ქუთაისის მე-2 სასჯელაღსრულებითი დაწესებულების დირექტორმა ზურაბ რუხაიამ, მისმა მოადგილემ მამუკა ჩეგიანმა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა რამაზ ყიფუანმა.

პატიმარი იხსენებს, რომ ის ითხოვდა თეთრეულს, ტანსაცმელს და სხვა საჭირო ნივთებს. ამისთვის სახლში დარღვევა სურდა, მაგრამ ადმინისტრაციამ ნება არ დართო. პროცესტის ნიშნად, მან შიმშილობა დაიწყო, მეორე დღეს თაბაგარი განმეორებით ცემა რამაზ ყიფუანმა, ცემას მაშეუა ჩეგიანიც ესწრებოდა.

2009 წლის 27 ოქტომბერს სახალხო

დამცველის რწმუნებულებმა დანიელ მგელიაშვილმა და გურამ ბენდიანიშვილმა შეადგინეს ოქმი, სადაც ნუგზარ თაბაგარის ნამბიბზე დაყრდნობით აღნიშნულია, რომ მას საავადმყოფოში გადაყვანისას ხუთმა სპეცირაზმელმა ცემა.

სამედიცინო დახმარების შემდეგ ის დააბრუნეს მე-15 დანესებულებაში და საკანში მარტო მოათავსეს. პატიმარი წინააღმდეგი იყო, რადგან „შიშები ჰერნდა“, ამის გამო მსჯავრდადებულმა ერთჯერადი საპარსით სხეული დაისერა.

სახალხო დამცველის რწმუნებულების ოქმში ვეითხელობთ: „თავის არეში აქვს შესიებები, კისრის ქვემოთ ზოლად ემჩნევა შენითლებული ადგილები, დალურჯებული აქვს ორივე ბარძაყი, ორივე ფეხის ნვივი, დასიებული აქვს მარცხენა ფეხის კოჭი, მარცხენა მკერდის არეში აღნიშნება ნაჭრილობები, მთლიანად დასერილი აქვს მუცელი“. „2009 წლის 9 დეკემბერს თაბაგარმა

ზენრით თავის ჩამოხრიბია სცადა, მაგრამ კონტროლირომა შენიშვნა და გადაარჩინეს“, – ამბობს ადგომუატი ბოჭორიძევლი.

პატიმრის მონათხრობის მიხედვით, ციხის თანამშრომლებმა იგი 14 დეკემბერს კიდევ ერთხელ ცემეს, ცემითვე შეათრიეს პალატაში და ძირს დააგდეს, ააკრეს „სეორი“, თავზე ჩამოაცევს ცელლფანი და ცემით ჩაიყვანეს ნულ სარიულზე, ხელ-ფეხზე დაადგეს ბორკლები, თავზე დაახურეს „კასკა“ (ჩაფეხუტი) და ურტყაყამდნენ დაახლოებით სამი საათის განმავლობაში.

როგორც თაბაგარის ადგომუატი გვიამბობს, პატიმრის წამება პერმანენტულად მეორდებოდა... პატიმრის მონაყოლის მიხედვით, 2010 წლის 18 მარტს მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ცოტა ხნის შემდეგ ადგომუატებს შეახვედრეს, რომელთაც აღნიშნულის შესახებ უამბო. შეხვედრის შემდეგ თაბაგარი სამორიგეო ოთახში შეივანეს. „რეჟიმის განცყოფილების უფროსი ლევან ლეუჟავა უკნიდან სწვდა ყელში, ადეიშვილმა მუცელში ფეხი ჩაარტყა, შემდეგ დააბეს სკონით, ბასრი საგნით დაუსერეს ზურგი და დააყარეს მარილი, უპირებდნენ წყლით დამდუღვრას, მაგრამ თაბაგარმა მოახერხა ფეხით მდუღარე წყლის დაქვევა“, – ვეითხულობთ სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ შედგენილ ოქმში. ოქმი მსჯავრდადებულის მონათხრობს ეყრდნობა.

გაეროს განვითარების პროგრამის „სახალხო დამცველის აპარატის განვითარება“ სამედიცინო ექსპერტის ლევან ლაბაურის მიერ 2010 წლის 3 მარტს ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით, „პირი გადაადგილდება ხელ-ჯოხის მეშვეობით, წელში მოხრილია, მოძრაობს შენერებულად, თხემის და კეფის ძლილის მიდამოებში აღნიშნება ნახევრი ჭრილობები, ზურგის მიდამოში აღნიშნება სხვადასხვა ზომის და სიგრძის პარალელური ნაჭდევები... ჭრილობები პირით, ალაგ-ალაგ მცირედ სისხლმედენი, არ ეტომა ქირურგიული დამუშავების კვალი, არ არის გაერილი, არ ადევს ნახევევი, ჭრილობები დაბინძურებულია, ასდის სპეციფიკური სუნი, მარცხენა მუხლის მიდამო მკვეთრად შეშუბებულია, დეფორმირებული, მოძრაობა შეზღუდულია.“

2010 წელს „ემპათიის“ ადგომუატებმა

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართეს, სტრასბურგიდან მონეროლ წერილში უკითხულობთ: „მიეთითოს – საქართველოს მთავრობას სამართალნარმობის წესის 39-ე წესის შესაბამისად განმცხადებელი მოთავსდეს სამედიცინო მეთვალყურების და დახმარების ქვეშ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად და შესაბამისმა ორგანოებმა მიიღონ საჭირო ზომები თვითდაზიანების შემთხვევის თვითდან ასაცილებლად“.

ევროსასამართლოს მითითების მოუხედავად, თაბაგარი მაინც არ გადაუყვანიათ საავადმყოფოში. მან კვლავ დაიზიარა თავი, რის შემდეგაც ჩატარდა სამედიცინო გამოკვლევა, „მაგრამ მის მკურნალობას ადგევატურს ვერ დავარქმევ“, – ამბობს მარიამ ჯიშევარიანი.

კიდევ ერთი ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმარი, რომელიც ამჟამად სამედიცინო დაზესტულებაში მკურნალობდა, 36 წლის ნანა ნემსაძე (სახელი და გვარი შეცვლილია). თუმცა, მისი სამოქალაქო სტაციონარში გადაუყანისათვის „ემპათიის“ ადგომუატი სოსო ხატიაშვილი თითქმის ორი წლით იბრძოდა.

ნანა ნემსაძე ციხეში მოხვედრისას ჯანმრთელი იყო. „მისი ფსიქიკური სტატუსი არის პათოლოგიის გარეშე“, – ვეითხულობთ სამედიცინო ბარათში, მას 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. შეწყვლების კომისიაში წარსადგენი დაბასიათების მიხედვით, „პატიმარს კარგი ურთიერობა აქვს მსჯავრდადებულებიან და ოჯახის ზევრებთან, თავაზიანია თანამშრომლებთან მიმართებაში. ჩადენილ დანაშაულში თავს ცნობს დამნაშავედ, ინანიებს“.

ორი წლის შემდეგ, იმავე სამედიცინო ბარათში გაჩნდა ჩანაწერი: „ავადმყოფი იქცევა არააღევატურად, აღნიშნავს, რომ „რობოტიკით დადის“, რომ „არის ჩინჩხის“, „მკვდარია“, „მისი სხეული სანოლშია, თვითონ კი არ იცის, ვინ არის“ შეწუხებული გამომეტყველებით ამბობს, რომ „მისი ტვინი სხვამ წაიღო“, რომ „ნაართვეს სილამაზე“, „შვილები მოუკლეს“.

როგორც მარიამ ჯიშევარიანმა „ლიბერალს“ განუცხადა: „პატიმრტს ახასიათებდა შიზოფრენიული ქცევები, თავისთვის საუბრობდა, ეძინა საკნის გარეთ, რადგან

სხვა პატიმრებს არ სურდათ მასთან ერთად ყოფნა, – თავს ვერ უვლიდა, არ იბანდა, არ იღებდა მედიკამენტებს და საკვებს“.

2009 წლის 6 მაისს გამოსაკვლევ პირს ჩატარებულდა ამბულატორიული ექსპერტიზა, რომლის მიხედვით, პატიმრტს სტაციონარული გამოკვლევა დაენიშნა. სტაციონარული სასამართლოს ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ კი დადგინდა, რომ:

„პატიმრტი საჭიროებს არანებაყოფლობით მკურნალობას, და ხონის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაუყანას“. თუმცა, ეს მოთხოვნა სასჯელადსრულებით დეპარტამენტს ერთი წლის განმავლობაში არ შეუსრულებია.

ამის შემდეგ ნემსაძის ადგომუატმა სოსო ხატიაშვილმა სარჩელი სტრასბურგის სასამართლოში შეიტანა. სასამართლომ მთავრობას მიუთითა, რომ პატიმარს კომპენსაციის სახით 6400 ევრო გადაუხადოს. ხატიაშვილის თქმით, სტაციასბურგის სასამართლოს მიერ სახელმწიფოსთვის თანხის დაკისრება პირველი პრეცედენტია.

სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშის მიხედვით, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში ერთ-ერთი მწვავე და მოუგვარებელი საკითხია. მსგავსი პრობლემების მქონე პირთა გამოვლენა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა და რებილიტაცია არაორგანიზებული და შეზღუდულია. სისტემას მხოლოდ 5 ფსიქიატრი ემსახურება, რაც არაადეკავტურია.

საქართველოში 2003 წლიდან მოქმედებს ჯანმრთელობის მინისტრის სპეციალური ბრძანება – №726 – ე.ნ. „აეტიკების სტანდარტი“. ბრძანების მე-5 პუნქტში ჩამოთვლილია ფსიქიკური დაავადებები, რომელიც ციხიდან გათავისუფლების ან სასჯელის გადავადების საფუძველია. ამ დაავადებებს შორისაა სხვადასხვა სახის ფსიქოზი, შიზოფრენია, გონიერებას და სტატუსი, ქიმიკური დაავადებები... „ემპათიის“ ხელმძღვანელი მარიამ ჯიშევარიანი ამბობს, საქართველოს პენიტენციალურ სისტემაში მსგავსი დიაგნოზით არაერთი პატიმარი იხდის სასჯელს.

„ლიბერალმა“ სასჯელადსრულების სამინისტროს რამდენიმე კითხვით მიმართა, თუმცა პრესცენტრში პასუხის გაცემა არ ისურვეს. გ

## ჟურნალისტური გამოპირება



ფოტო დავით კორიაზევი / REUTERS

ტყიბულის მაღაროელები

# ეალუაცი მალახოვაბი - ვინ აჩის ეამნაშავ?



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილმა 6 ნოემბერს ტყიბულში, მინდელის სახელობის შახტაში დაღუპული ორი მაღაროელის ოჯახს მიუსამძიმრა. ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ეს უკვე მეხუთე შემთხვევაა, როდესაც პრეზიდენტი მაღაროელთა ოჯახებს უსამძიმრებს. დაღუპულ მეშახტეთა რაოდენობამ უკვე 12-ს მიაღწია. რამდენად არის დაცული უსაფრთხოების ზომები მინდელის მაღაროში? იყო თუ არა ობიექტური ასეთი შემთხვევების შესახებ შექმნილი სახელმწიფო ექსპერტიზის დასკვნები?

**ცერიალა შერმადინი, „სტუდია მონიტორი“**

## უგედური შემთხვევები მინდელის მაღაროში

ტყიბულში, სანარმო „საქანახშირის“ მინდელის სახელობის შახტაში ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ხუთი უბედური შემთხვევა მოხდა, დაიღუპა 12, ხოლო დაშავდა 7 ადამიანი.

ტყიბულში ქვანახშირის მოპოვება მე-19 საუკუნში დაიწყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 4 შახტაში ქვანახშირის მოპოვება შეწყდა. 2006 წელს ტყიბულში ორი შახტა ამოქმედდა, მინდელის და ძირიგურის სახელობის მაღაროები. მათ მართავს შპს „საქანახშირი“, რომელიც „ჯი-აი-ჯი ჯგუფის“ შვილობილი კომპანიაა. „ჯი-აი-ჯი ჯგუფის“ 100%-ს ვირჯინის კუნძულებზე დაფუძნებული ფირმა „ჩემექსიმ ინტერნეშენალი“ ფლობს, ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით კი „ჩე-

მექსიმ ინტერნეშენალის“ დამფუძნებელი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, დეპუტატი დავით ბეჟუაშვილია. სანარმოს დაახლოებით ათასი თანამშრომელი ჰყავს. პირველი აფეთქების ხმა მინდელის სახელობის მაღაროში 2010 წლის 2 მარტს, 22 საათსა და 20 წუთზე გაისმა, დაშავდა ერთი და დაიღუპა 4 მაღაროელი. 53 წლის გიორგი ბრეგაძე, 28 წლის მურმან კუბლაშვილი, 72 წლის ჯემალ ჯიშიაშვილი და 53 წლის მიზდონ ონიანი.

მიზდონ ონიანი შახტაში 2007 წლიდან სამთო ოსტატად მუშაობდა. მისი ყოველთვიური ხელფასი დაახლოებით 300 ლარი იყო. მისი მეუღლე ჰყვება, რომ ტყიბულში თავის რჩენის სხვა საშუალება არ არის და უშეტესობა იძულებულია, მუშაობა შახტაში დაიწყოს. 2 მარტს მისი მეუღლე საღამოს ცვლაში მორიგეობდა და სახლში

# შურნალისტური გამოძიება

ღამის 2 საათზე უნდა დაბრუნებულიყო. „2 საათამდე ფეხზე ვიყავი, რაღაც საჭ-მელი გავუმზადე, თურმე, უკვე დაღუპუ-ლი ყოფილა. მე გავიგე დილით. შვილი თბილისში იყო, დამირეკა დილით, ონიანი რომ მომკვდარა, ვინ არის და ვერავინ ვერ დაელაპარაკა“.

კიდევ ერთი გარდაცვლილი 27 წლის მურმან კუბლაშვილი, მაღაროში მამას-თან ერთად მუშაობდა, აფეთქების დროს ისინი სხვადასხვა უბანზე იმყოფებოდნენ. შახტიდან გარდაცვლილი შვილი მამამ გამოიყვანა. შვილის გარდაცვალების შემ-დეგ პავლე კუბლაშვილმა მუშაობა ვეღარ შეძლო, რჯახი ვერც სოციალურად დაუ-ცველთა სიაში მოხვდა და თავს ეპილეფ-სით დაავადებული შვილის პენსით, 70 ლარით, ირჩებს.

საქართველოს პრეზიდენტმა 2010 წლის 4 მარტი გლოვის დღედ გამოაცხა-და. გარდაცვლილების და დაშავებულების ოჯახებს იგი დახმარებას დაპირდა. პრე-ზიდენტმა ინციდენტის დეტალური გამო-ძიება და ავარიის გამომწვევა მიზეზების დადგენაც მოითხოვა.

სანარმოში ჯგუფური სასიკედილო უბედური შემთხვევის დროს, ნარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის გამოვ-ლევის და აღრიცხვის დებულების თანახ-მად, სპეციალური სამთავრობო გამომკვ-ლევი კომისია იქმნება. ბრძანება კომისიის შექმნის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა გასცა. საქართველოს პროფე-სიული კავშირების გაერთიანებაში ამ პრო-ცესში ჩართვა გადაწყვეტა და პრემიერს წერილობით მიმართა, რათა კომისიის დამოუკიდებელ წევრებად შრომის ინს-პექტორო ვიქტორ დოლიძე და თეიმურაზ გვენეტაძე ჩაერთოთ. თუმცა, მათი თხოვ-ნა არ დაემაყოფილდა.

## რა იყო მიზაზი - დაგროვებული ხეთანი თუ ნაპონეალი?

რვა კაცისაგან შემდგარი სამთავრო-ბო კომისია, რომელმაც აფეთქების გა-მომწვევი მიზეზები გამოიკვლია, წერს: „აირის აფეთქების მიზეზი არის ის, რომ დაგაზიანებული გვირაბის განივება დაიწყო გაუძართავი თავსახურახდილი ელექტრომობილობის პირობებში, რაც გახდა ნაპერნელის ნარმოქმნის მი-

ზეზი, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია აა-ლება...“

შრომის ინსპექტორმა ვიქტორ დოლი-ძემ, ინსპექციის სპეციალური გამოკვ-ლევის აქტი დეტალურად შეისწავლა და განსხვავებული დასკვნა დადო. „ლაპა-რაჟობენ, რომ ნაპერნელმა გამოიწვია აფეთქება, ნაპერნელმა ყოველთვის იწვე-ვს აფეთქებას, ეს არის ჩვეულებრივი ამბავი, ეს ბაზშვამაც კი იცის. მთავარია, გაზი არ დაგროვდეს იმ რაოდენობით, რომ აფეთქება გამოიწვიოს. ეს არის ამო-სავალი წერტილი შახტებისთვის“, – აცხა-დებს დოლიძე.

ექსპერტები ამბობენ, რომ შახტაში და-გროვებული აირის განივებას დიდი დრო სჭირდება, რაც ნახშირის მოპოვების პრო-ცესს აფეთქებს. შახტის ადმინისტრაციას კი მუშების მოცდენა არ სურს.

ექსპერტის შეფასებით, სამთავრობო კომისიამ ავარიის რეალური მიზეზები ვერ ან არ გამოავლინა. ვიქტორ დოლიძე: „როდესაც კომისია ამ საბუთებს აგრო-ვებდა და წერდა, აშკარად იგრძნობოდა, რომ იგი ცდილობდა ვიდაცის პასუხისმ-გებლობისგან გათავისუფლებას, იმიტომ, რომ თანმიმდევრობით უნდა აღნეროს სამუშაო პროცესი, რა უძღვოდა წინ ამ პროცესებს, ვინ იყო ვალდებული შეეს-რულებინა და როგორ შესრულდა ეს ვალ-დებულებები....“

სამთავრობო კომისიამ დასკვნაში არ დაწერა, რომ სავენტილაციო სისტემა გათიშველი იყო. თუმცა იმავე დასკვნის აღმისაფხვრელ ლონისძიებებში დეტა-ლურადა აღნერილი, რომ: „ადგილობრი-ვი განიავების ვნეტილატორის გათიშვის შემთხვევაში 5 წთ-ზე მეტი სწის განმა-ვლობაში, გვირაბის სანგრევი ჩაითვალის დაგაზიანებულად და შემდგომი მუშაობა

## შემოის ჩასახები ინსპექცია

2006 წლის საქართველოში გაუქმდა შრომის ინსპექცია. ექსპერტების თქმით, დღეს ქვეყნაში არ არსებობს ორგანო, რომელიც სანარმოებში უსაფრთხოების ნორმების მონიტორინგს განახორციელებს და დასაქმებულების უფლებებს დაიცავს. ასეთი სამსახური კი, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში სხვადასხვა სახით არსებობს.

უნდა გაგრძელდეს სპეციალური განგა-ზვითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ“. „ე.ი. რის აკრძალვასაც აწესებს კომისია, ის უკვე დაშვებული იყო შემთხვევის დროს. ის ხლხლი ჩაუშვეს, როდესაც ვენ-ტილატორი გამორთული იყო. ვენტილა-ცია არ იყო, ე.ი გაზი დაგროვდა. ასეთ დროს ნაპერნელის აქცეს მხოლოდ მარო-ვოცირებული მნიშვნელობა. გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მეთანის დაგროვე-ბას“, – ამბობს ვიქტორ დოლიძე.

აირით სავსე უბნებზე მუშების ჩაყვანის ფაქტს უარყოფს საქართველოს ინდუს-ტრიული ჯგუფის და საქანახშირის დირე-ქტორი ზაზა სადუნიშვილი. იგი აცხადებს, რომ ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე ზაზა გორდეზიანი, რომელმაც 2010 წლის 2 მარტის აფეთქებაზე დასკვნა დაწერა, ერთი თვის შემდეგ „ვა-აი-ჯი ჯგუფის“ ტექნიკური დირექტორი გახდა. ჩვენ ზაზა გორდეზიანის ინტერვიუზე შეუუთანაშმდით, ტყიბულში ჩასულებს მან გვითხრა, რომ ხელმძღვანელობამ ინტერვიუს მიცემა აუკრძალა.

ზაზა გორდეზიანთან საუბარი ჩვენ ნე-ბართვის გარეშე ჩავწერეთ და ვცადეთ, უფრო დეტალურად გაგვერცვა მნიშვნელობის გათიშველი და გამოიციროთ, რაც გამოავლინა. ვიქტორ დოლიძე: „როდესაც კომისია ამ საბუთებს აგრო-ვებდა და წერდა, აშკარად იგრძნობოდა, რომ იგი ცდილობდა ვიდაცის პასუხისმ-გებლობისგან გათავისუფლებას, იმიტომ, რომ თანმიმდევრობით უნდა აღნეროს სამუშაო პროცესი, რა უძღვოდა წინ ამ პროცესებს, ვინ იყო ვალდებული შეეს-რულებინა და როგორ შესრულდა ეს ვალ-დებულებები....“

ზაზა გორდეზიანმა საუბარი ჩვენ ნე-ბართვის გარეშე ჩავწერეთ და ვცადეთ, უფრო დეტალურად გაგვერცვა მნიშვნელობის გათიშველი და გამოიციროთ, რაც გამოავლინა. გორ-დეზიანმა ჩვენთან საუბარში თქვა, რომ ადგილობრივი განიავების ვნეტილატორი მართლაც გამორთული იყო. „ეს ინვესტიცია მხოლოდ ადგილობრივი ვენტილატორის გათიშვებას, არა მთლიანად შახტის, ასეთი ჩვენს შახტაში გვაქვს ორმოცდათი ცალი მანც“, – გვითხრა ზაზა გორდეზიანმა.

ვიქტორ დოლიძე ამბობს, რომ „ეს „პა-ტატარა ვენტილატორი“ დიდ სიცოცხლეს უზრუნველყოფს და მისი ფუნქციის დაკ-ნინება არ შეიძლება“.

უბედური შემთხვევის გამომკვლევი სამთავრობო კომისია დასკვნაში თავად გარდაცვლილ მუშებს ადანაშაულებს და წერს, რომ მზადებითი ცვლის პერსონალი დაარღვია „ნახშირის შახტების წესების“ მოთხოვნები“.

„ნახშირის შახტების წესების“ რომელი მუხლები დაარღვიეს მეშახტებება და რა-ტომ არ მიუთითა ის კომისიამ დასკვნაში? ეს კითხვა სამთავრობო კომისიის თა-ვმჯდომარეს და ახლა უკვე საქანახშირის

## რა იყო მიზაზი - დაგროვებული

### ხეთანი თუ ნაპონეალი?

რვა კაცისაგან შემდგარი სამთავრო-ბო კომისია, რომელმაც აფეთქების გა-მომწვევი მიზეზები გამოიკვლია, წერს: „აირის აფეთქების მიზეზი არის ის, რომ დაგაზიანებული გვირაბის განივება დაიწყო გაუძართავი თავსახურახდილი ელექტრომობილობის პირობებში, რაც გახდა ნაპერნელის ნარმოქმნის მი-

ტექნიკურ დირექტორს ზაზა გორდეზიანს დაუუსვით. მეშახტეების მიერ დარღვეული კონკრეტული მუხლები დასკვნაში რომ ვერ გვაჩვენა, ზაზა გორდეზიანმა კანონის 27-ე მუხლზე, გვირაბის განიავების წესებზე მიგვითითა.

ექსპერტი ვიქტორ დოლიძე ამბობს, რომ როდესაც კომისია მეშახტეებს ადანაშაულებს, აუცილებლად უნდა მიუთითოს მუხლი, რომელიც მათ დაარღვიეს. „27-ე მუხლი კი არის ზოგადი მოთხოვნა, რომელიც თანაბრად ეხება მუშებს და ადმინისტრაციას, როცა გვირაბი დაგაზიანებულია, იქ ჩასვლა და სამუშაოების წარმოება არ შეიძლება“, – აცხადებს დოლიძე.

მოგვიანებით, პრეზიდენტმა დასკვნებზე, რომელიც უბედურ შემთხვევებზე დაიწერა, განაცხადა: „დასკვნებს ვინც წერს, არის მკვლელობის თანამონაწილე, ისინი ფულს იღებენ ადმინისტრაციისგან, „ხელი ხელს ბანს“ პრინციპით“.

„პრეზიდენტი შეიყვანეს შეცდომაში“, – ასე პასუხობს სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე ზაზა გორდეზიანი პრეზიდენტის განცხადებას.

## მეორე აუკითხვა

პირველი აფეთქებიდან 5 თვის შემდეგ, 2010 წლის 27 აგვისტოს მინდელის სახელობის შახტაში იმავე მე-11 უბანზე მეორე აფეთქება მოხდა. აფეთქების დროს დამავდა 6 და დაიღუპა 4 მეშახტე: 51 წლის ოსებ აბდულაძე, 49 წლის პლატონ მიოდებაძე, 43 წლის მალხაზ ჭანტურიძე და 24 წლის ლაშა ბოჭორიძეილი.

მეორე აფეთქების დროს, შახტაში იმყოფებოდა 28 წლის ლევან ქურციოძე, რომელმაც სხეულის 45%-იანი დამწრობა მიიღო, მაგრამ გადარჩა. შეიღოთვიანი მკურნალობის შემდეგ იგი კვლავ იმავე პრიოუნიას დაუბრუნდა. როგორც ის ამბობს, შახტაში ნასულს ერთი ფეხი სამარეში აქვს და არ იცის, ოჯახს დაუბრუნდება თუ არა, მაგრამ ტყიბულში სხვა სამსახური არ არის და უმუშევარს ოჯახის რჩენა გაუჭირდება.

იგი იხსენებს, რომ შახტაში 300 მეტრზე ჩასულებმა აფეთქების ხმა სამუშაოების დაწყებიდან ოც წუთში გაიგეს. ქურციოძე ამბობს, რომ საწარმოში უსა-



**■ მოგვიანებით პრეზიდენტმა დასკვნებზე, რომელიც უბედურ შემთხვევებზე დაიწერა, განაცხადა: „დასკვნებს ვინც წერს, არის მკვლელობის თანამონაწილე, ისინი ფულს იღებენ ადმინისტრაციისგან, „ხელი ხელს ბანს“ პრინციპით“.**

ფრთხოების ნორმები დაცული არ იყო და აფეთქებაც სწორედ ამან გამოიწვია: „დირექტორისა და მთავარი ინჟინერის მხრიდან უსაფრთხოება რომ ყოფილიყო დაცული, ეს არ მოხდებოდა“, – გვითხრა ლევან ქურციოძემ.

27 აგვისტოს აფეთქების ადგილას იმავე საღამოს ჩავიდა შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბძევილი. „მიმდინარეობს გამოძიება, განცხადება გაკეთდება, თუმცა გამოძიება დაადგენს და შემდგომ გადაწყვეტილებას მიიღებს შახტის ხელმძღვანელობა ექსპლუატაციის ახალი ნორმების, თუ სხვა ნორმების შემოღების შესახებ, რაც შემდგომ თავიდან აგვაცილებს ასეთ საფრთხეებს“, – განაცხადა მინისტრმა.

ნამოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის გამოკვლევის დებულების მიხედვით, მეორე აფეთქებაზე სპეციალური ფორმა ტ-1 შედგა, სადაც, პირველი აფეთქების მსგავსად კვლავ გარდაცვლილი და დაშავებული მეშახტეები დაადანაშაუ-

ლეს. მკაცრი განცხადებების მიუხედავად, დღემდე არცერთ უბედურ შემთხვევაზე გამოძიება არ დასრულებულა.

მეორე დღისას შემთხვევის ადგილას საქართველოს პრეზიდენტიც ჩავიდა და 28 აგვისტოს განცხადება ტყიბულიდან გააკეთა. მან „საქანახშირის“ ადმინისტრაციას უსაფრთხოების წესების გამკაცრება მოსთხოვა.

## მესამე აუკითხვა

5 თვის შემდეგ, მაშინ, როდესაც პრეზიდენტის პრძანებით „საქანახშირის“ ადმინისტრაციას უსაფრთხოების წესები უკვე უნდა გაემკაცრებინა, მინდელის შახტაში კიდევ ერთი აფეთქება მოხდა. 2011 წლის 22 იანვარს მესამე აფეთქების დროს – დაშავდა ოთხი და დაიღუპა ერთი მაღარელი – 37 წლის მერაბ კალანდაძე.

ქვეყნის პირველი პირი, ამ ფაქტს, ერევნიდან გამოეხმაურა და წინა შემთხვევებისგან განსხვავებით, მომზდარში პირდაპირ საწარმოს ადმინისტრაცია და-

# შურნალისტური გამოძიება

ადანაშაულა: „როგორც მე მაქვს ინფორმაცია, ყველანაირი დასტური არის იმისა, რომ წინა აფეთქება, რომელმაც იმსხვერპლა რამდენიმე მაღაროელი, იყო შედეგი არა მათი დაუდევრობისა, არამედ უშუალოდ მაღაროს ხელმძღვანელის დანაშაულებრივი ქმედების, რომელმაც გამორთო ვენტილაციის სისტემა და დაზოგა ფული საკუთარი თანამშრომლების სიცოცხლის ხარჯზე“, – განაცხადა პრეზიდენტმა.

მესამე აფეთქებიდან მოკლე ხანში დააკავეს ორი ეჭვმიტანილი, მაღაროს მესამე უბნის უფროსის მოადგილე გიორგი დევდარიანი და სავენტილაციო უბნის უფროსის მოადგილე ედემ სტურუა, ისინი სამთო ასაფეთქებელი სამუშაოების მიმდინარეობისას უსაფრთხოების წესების დარღვევაში იყვნენ ეჭვმიტანილი.

მინდელის სახელობის მაღაროს თანამშრომლებმა, გამოძიების ობიექტურობაში ეჭვი შეიტანეს — ისინი იანვრის ბოლოს ერთი დღით გაიფიცნენ და მაღაროში არსებული პირობები გააპროტესტეს. გაფიცულები, აგრეთვე, დაკავებული დევდარიანისა და სტურუას გათავისუფლებას ითხოვდნენ. ისინი აცხადებდნენ, რომ პასუხისმგებლობა მხოლოდ ადმინისტრაციას უნდა დაკავისროს.

პროტესტის შემდეგ ეჭვმიტანილები, მართალია, გაათავისუფლეს, მაგრამ საპროტესტო აქციებში მონაწილე ირი მაღაროელი დემურ ზოსიაშვილი და თენგიზ კუბლაშვილი, რომლებმაც ტელეკომპანია „მაქსტროს“ კომენტარი მისცეს, სამსახურიდან გაათავისუფლეს. დემურ ზოსიაშვილის თემით, მან სამსახური პროტესტის გამოხატვის გამო დაკარგა.

გამოძიება სამივე ფაქტზე დღემდე გრძელდება.

## კიდევ რომ შემოძიება მიღების სახელმაის გაღარიშვი

2011 წლის შემოძგომაზე მინდელის სახელობის მაღაროში კიდევ ირი უტედური შემთხვევა მოხდა. 9 სექტემბერს მორიგი, მეოთხე უტედური შემთხვევის დროს დაიღუპა ერთი მაღაროელი.

6 ნოემბერს კიდევ ერთი ინციდენტი მოხდა, რომელმაც ირი შადაროელი იმსხვერპლა. ინტერნეტ გამოცემა Civil. ge-მ აღნიშნულთან დაკავშირებით გამო-

ქვეყნებულ ახალ ამბავში „საქანახშირის“ ტექნიკური დირექტორის ზაზა გორდეზიანის კომეტიარი გამოაქვეყნა.

„ჩვენი წინასწარი გამოძიებით, საგარაუდოდ, სამთო მასა შეირყა, რაც გამოიწვია სამთო დარტყმების მასების გამოდინებამ... ამ დროს მიმდინარეობდა დაბურღვა, რა დროსაც ჩამოიქცა ჭერი და მოხდა ეს უტედური შემთხვევა“, – განაცხადა ზაზა გორდეზიანმა.

## კომავნები

მეორე აფეთქების შემდეგ, ტყიბულში ჩასული მიხეილ სააკაშვილი გარდაცვლილი მაღაროელების იჯახების ბედითაც დაინტერესდა და მათ კომპენსაციის სახით 10 ათას ლარს და სოციალურ შეღავთებს დაპირდღაულში მიმდინარენ და მიმართოთ ჩვენი მოხუცები და ელემენტარული საკვები მაინც მივაწოდოთ ჩვენს დაობლებულ შვილებს“, – წერია მათ მიმართაში.

პრეზიდენტის ადმინისტრაციამ წერილი განსახილევად იმერეთის გუშერნიას გადაუგზავნა. გარდაცვლილების იჯახებს კი, ტყიბულის გამგებელმა ლევან დოხნაძემ და შემთხვევის ადმინისტრაციამ აუსსა, რომ პრეზიდენტის დანაპირები კომპენსაცია შევიდა დაკრძალვის ხარჯებში.

„ასე აგვისხნეს და განგვიმარტეს – პრეზიდენტის ეს ნათევამი იყო ის, რასაც ჩვენ გაძლიერდა, ანუ დაკრძალვის ხარჯებით. ეს იყო ის, რაც თქვა პრეზიდენტმაონ. კატეგორიულ უარს ამბობენ, პრეზიდენტს ზედმეტი არ უთქვაშის“, – ამპობს კიდევ ერთი გარდაცვლილი მეშატების, მალებაზ ჭანტურიდის მეუღლე, ელისო ჭანტურიძე.

საქართველოს კანონმდებლობით, მარჩენალდა გარეულ და დაზარალებულ იჯახებს სანარმოდან კომპენსაციები ეკუთვნით. თუმცა, ბოლო წლებში რეგულაციები ამ სფეროში გამკაცრდა. აქამდე კომპენსაციის გაცემის საკითხი რეგულირდებოდა 1999 წელს საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებული ბრძანებულება №48-ით, რომელიც ამბობდა, რომ სანარმოში ტრაგირებულ მუშაქებს ყოველთვიური სარჩო უნდა დაინშვნოდათ.

2007 წელს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის ახალი №53 დაგდენილებით გაუქმდა წინა ბრძანებულება. ამასთან, ახალმა ბრძანებულებამ ყოველთვიური სარჩო გაუუქმა იმ იჯახებსაც, რომლებიც ფულად კომპენსაციას მანამდე ლებულობდნენ. მეტიც, ამავე ბრძანებულების თანამდან, დამსაქმებელს ყოველთვიური სარჩოს გაცემის ვალდებულება აღარ აქვს სანარმოს გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაშიც.

დავად, კომპენსაცია არ მიუღიათ მეორე აფეთქებისას გარდაცვლილი მაღაროელების იჯახებსაც. მათ პრეზიდენტს წერილობითაც მიმართეს: „მივაკითხეთ იმერეთის გუშერნატორს და ამის მერე გვთხოვთ, რომ კომპენსაცია შედის გარდაცვლილების ხარჯებში. ბატონო პრეზიდენტო, უმორჩილესად გთხოვთ დახმარებას, რათა გამოგვიყონ ჩვენთვის განკუთხნილი თანხები, რომ გამოვივებოთ ჩვენი მოხუცები და ელემენტარული საკვები მაინც მივაწოდოთ ჩვენს დაობლებულ შვილებს“, – წერია მათ მიმართაში.

პრეზიდენტის ადმინისტრაციამ წერილი განსახილევად იმერეთის გუშერნიას გადაუგზავნა. გარდაცვლილების იჯახებს კი, ტყიბულის გამგებელმა ლევან დოხნაძემ და შემთხვევის ადმინისტრაციამ აუსსა, რომ პრეზიდენტის დანაპირები კომპენსაცია შევიდა დაკრძალვის ხარჯებში.

„ასე აგვისხნეს და განგვიმარტეს – პრეზიდენტის ეს ნათევამი იყო ის, რასაც ჩვენ გაძლიერდა, ანუ დაკრძალვის ხარჯებით. ეს იყო ის, რაც თქვა პრეზიდენტმაონ. კატეგორიულ უარს ამბობენ, პრეზიდენტს ზედმეტი არ უთქვაშის“, – ამპობს კიდევ ერთი გარდაცვლილი მეშატების, მალებაზ ჭანტურიდის მეუღლე, ელისო ჭანტურიძე.

საქართველოს კანონმდებლობით, მარჩენალდა გარეულ და დაზარალებულ იჯახებს სანარმოდან კომპენსაციები ეკუთვნით. თუმცა, ბოლო წლებში რეგულაციები ამ სფეროში გამკაცრდა. აქამდე კომპენსაციის გაცემის საკითხი რეგულირდებოდა 1999 წელს საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებული ბრძანებულება №48-ით, რომელიც ამბობდა, რომ სანარმოში ტრაგირებულ მუშაქებს ყოველთვიური სარჩო უნდა დაინშვნოდათ.

2007 წელს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის ახალი №53 დაგდენილებით გაუქმდა წინა ბრძანებულება. ამასთან, ახალმა ბრძანებულებამ ყოველთვიური სარჩო გაუუქმა იმ იჯახებსაც, რომლებიც ფულად კომპენსაციას მანამდე ლებულობდნენ. მეტიც, ამავე ბრძანებულების თანამდან, დამსაქმებელს ყოველთვიური სარჩოს გაცემის ვალდებულება აღარ აქვს სანარმოს გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაშიც.

არასამთავრობო ორგანიზაციის „მწვანე ალტერნატივა“ აღმასრულებელი დოკუმენტორი ნინო გუჯარაიძე საქართველო მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ სწორედ ამ დადგენილების მიღების შემდეგ გაიყიდა ისეთი მსხვილი სანარმოები, რომელთაც ბევრი ტრაგმირებული მუშავი ჰყავდათ. 2006-2007 წლებში გასხვისდა „ტყიბულნახშირი“, „ჭალთურმანგანუმი“ და ზესტაფონის ფეროშექნადნობთა ქარხნა.

„№48 ბრძანებულება განსაზღვრავდა, რა პროცენტით უნდა ანაზღაურებოდა დაზარალებულ პირს ზიანი. ასალ დადგენილებაში, სამწუხაროდ, ძალიან ბუნდოვნად და მოკლედაა ჩამოყალიბებული შრომითი მოვალეობის შესრულებისას ზიანის ანაზღაურების წესი. დადგენილების მიხედვით, ზიანი ანაზღაურდება შრომის კოდექსით გათვალისწინებული წესით და სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით“, – ამბობს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტი თიკო ავალიანი.

როგორც იურისტები და ექსპერტები აღნიშნავენ, შრომითი უფლებების კონი დამქირავებლის ინტერესებზე მორგბული, მუშავის უფლებები კი შეზღუდულია. დღეს სანარმოო ტრავმის მიღების, ან გარდაცვალების შემთხვევაში, კომპენსაციის, ან ყოველთვიური სარჩეოს მიღება, მხოლოდ სასამართლოს გზითაა შესაძლებელი.

უბედური შემთხვევის დროს მუშავს ზიანი სანარმოს ბრალეულობის დადასტურების შემდეგ უნაზღაურდება. ბრალეულობას და უბედური შემთხვევის მოკლევის აქტს თავად სანარმოს ადმინისტრაცია უბედური შემთხვევიდან 24 საათში ადგენს. ჩვენ მიერ მოძიებულ ყველა შემთხვევაში დამნაშავედ თავად დაზარალებულს ან გარდაცვლილ მუშავს ასახელებენ. დასაქმებულის ბრალის არსებობის დროს კი ზიანი არ ნაზღაურდება. უბედური შემთხვევების ფაქტებზე დაწყებული გამოძიება კი წლობით გრძელდება. დაზარალებული მუშავები და მათი ოჯახები მნირი ფინანსური რესურსების გამო, ხშირ შემთხვევაში, სასამართლოს ვერ მიმართავენ.

გარდაცვლილი მაღაროელები დაზღვულები იყვნენ „აი-სი ჯგუფში“. გარდაცვალების შემთხვევაში მათ 7 ათასი ლარი ეკუთხნოდათ, თუმცა ოჯახებს ერთი წლის შემდეგ ეს თანხა კვლავ არ მიუღიათ.



**■ ნარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის გამოკვლევის დებულების მიხედვით, მეორე აფეთქებაზე სპეციალური ფორმა ტ-1-შედგა, სადაც, პირველი აფეთქების მსგავსად კვლავ გარდაცვლილი და დაშავებული მეშახტეები დაადანაშაულეს. მკაცრი განცხადებების მიუხედავად, დღემდე არცერთ უბედურ შემთხვევაზე გამოძიება არ დასრულებულა.**

გარდაცვლილი მაღაროელები დაზღვულები იყვნენ „აი-სი ჯგუფში“. გარდაცვალების შემთხვევაში მათ 7 ათასი ლარი ეკუთხნოდათ, თუმცა ოჯახებს ერთი წლის შემდეგ ეს თანხა კვლავ არ მიუღიათ.

„ჯერ გვითხრეს, 6 თვე უნდა გავიდეს. გააკეთოთ მემკვიდრეობა და მერე გადმოგცემთ ამ თანხასო. გავიდა 6 თვე, გავაკეთოთ მემკვიდრეობა. ესეც თანხებთან იყო დაკავშირებული, ჯერ არაფერი არ ხდება, თანხა არ მიგვიღია“, – ამბობს გარდაცვლილი სოსო ობოლაძის მეუღლე.

ექსპერტი ლევან კალანდაძე ამბობს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც პირის გარდაცვალება ოფიციალურადაა დადასტურებული, სადაზღვევო კომპანიამ თანხა აუცილებლად უნდა გასცეს. გარდაცვლილთა ოჯახის წევრების უფლებებს სადაზღვევო კომპანიებთან არც „საქანაშირი“ იცავს.

გენერალური დირექტორი ზაზა სადუნიშვილი არ ასახელებს მიზეზს, თუ რატომ ვერ ახერხებს ოთხი გარდაცვლილი მეშახტის ოჯახი ერთი წლის განმავლობაში სადაზღვევო კომპანიაციის მიღებას. „აუნაზღაურდებათ, გეუბნებით ეს არის სუფთა ტექნიკური პრობლემა, რომელიც უკავშირდება პროცესუალურ ნაწილს, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში ანაზღაურდეს თანხა“, – გვითხრა მან.

სადაზღვევო კომპანია „აი სი ჯგუფშის“ ანაზღაურების მენეჯერი, მართალია, დაგვპირდა, რომ ჩვენს კითხვებს მათი იურისტი უპასუხებდა, თუმცა მოგვიანებით კომენტარზე უარი გვითხრა. **█**

**უურნალისტური გამოძიება**  
მომზადებულია ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.



ფოტოების მუნიციპალიტეტი

# ესი ერთობის ბაზარი

თემო ბარძიმაშვილი



მესხები ლოცულობენ რამაზანის თვის დასასრულის აღსანშნავად,  
აზერბაიჯანის სოფელ მედრესეში.

# ფოტორეპორტაჟი



მესხი გმილ გამიღოვი, ბიშეკის მახლობლად მდგბარე სოფელ კანტში. მის მეუღლეს უკავია სამცხე-ჯავახეთის სოფელ ანყურიძინ გადასახლებულ მშობლების სურათები



ფარმან შახბაზოვი, მუსიკოსი, რომელის წინაპრები სოფელ აგარაძან იყვნენ. ბიშეკი, ყირგიზეთი

„სამშობლო“ ის სიტყვაა, რომელიც ზრდასრული ადამიანის ბედს დიდნილად განსაზღვრავს. ზოგისთვის ის წინაპრების სავანეს ნიშანას, ზოგისთვის – კომფორტისა და ბედნიერების ადგილს. თუმცა, არიან ეთნიკური ჯგუფები, რომელთათვისაც სამშობლო მხოლოდ მტკიცნეულ მოგონებასთან ასოცირდება.

1944 წლის ნოემბერში, სტალინის საგანგებო ბრძანებით, დაახლოებით ასი ათასი ადამიანი რამდენიმე კვირის განმავლობაში შუა აზიაში გადასახლეს. გადასახლებულების დიდ ნაწილს შეადგენდნენ მესხები, რომელთაც ზოგჯერ თურქ ან

მაპმადიან მესხებსაც უწოდებენ. „რომ ჩამოვედით ვაგონები-დან, ადგილობრივები შიშით გვიყურებდნენ,“ – იხსენებს 88 წლის ბებეთ მამედოვა, რომელიც 21 წლის იყო, როდესაც ყირგზეთში გადასახლეს. „თურმე (საბჭოთა) მთავრობას აქ ჭორები გაუვრცელება, რომ კაციჭამიები მოდიან. თუმცა მა-ლევე ავაწყეთ მათთან ურთიერთობა, თანაც კარგი“.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ, გადასახლებული ერების რეაბილიტაცია მოხდა, მესხებს ნება დართეს დასახლებულიყვნენ საბჭოთა კავშირის ნებისმიერ კუთხეში, გარდა თავად საქართველოსი. 1950-იანებში მათი დიდი ჯგუფი შუა



ანყურის სადგური



24 ნდის მესხი პაცარძალი რანა რაჯაბოვა,  
აზერბაიჯანის სოფელი შირინბეილი

## ՅՐԱՔԱՆԱԿԱՐՏԱՀՈ



ՌԱՄԱՆԻՆ ԾԱՍԱԾՐԱԼՏԵ, ՏԱԳԼԱՑՏԱՏՆԱՅԼՈՂ ԼՈՒԿՈՎՈՑ  
ԹԵՍԵՔԸ ՏԱՏԱՐԱՂԵՑՆԵ ԳԱԳՈԱՆ



აზიდან აზერბაიჯანშიც კი გადავიდა საცხოვრებლად, იმ იმედით, რომ აქედან უფრო იოლად შეძლებდნენ თავიანთ სახლებში დაბრუნებას.

თითქმის შვიდი ათწლეულის განმავლობაში მესხები მთელ მსოფლიოში გაიფანტნენ. ამ პერიოდში მათ კიდევ რამდენიმე-ჯერ დასტრიალებდათ გადასახლებისა და ზენოლის ჩრდილი.

1989 წელს უზბეკეთში, ფერგანას ველზე ნაციონალისტურად განწყობილმა უზბეკთა ჯგუფმა მესხების უმრავი სახლი გადაწვა და ბევრი მათგანი მოკლა. ამის შედეგად არაერთი მესხი გადასახლდა აზერბაიჯანში და სხვა ქვეყნებში.

2010 წელს მსგავსი ფაქტის განმეორება შესაძლებელი იყო ყირგიზეთშიც. აქაც ნაციონალისტების ჯგუფმა, რომელიც



# ფოტორეპორტაჟი



ალიხან კურაძე სოფელ აბასთუმანში, რომელშიც ის დაიბადა,  
და რომელშიდაც 67 წლის შემცევე დაბრუნდა

„უცხო ხალხისთვის“ მიწების ჩამორთმევას ითხოვდა, დაარ-  
ბია რამდენიმე სოფელი, სადაც მესხები ცხოვრობდნენ. იყო  
მსსვერპლიც, თუმცა ყირგიზეთში დარბევა ფერგანის მოვლე-  
ნების მასშტატებს ჩამოუვარდებოდა.

წელს, 67 წლის მერე, მესხების ოჯახებს რეპატრიაციის და  
მშობლიურ მინა-წყალზე დაპრუნების შანსი ეძღვათ. ევროკა-  
ვშირის მიმართ აღებული ვალდებულების თანახმად, საქართვე-  
ლო ატარებს სამცხე-ჯავახეთიდან 1940-იან წლებში გადასახ-  
ლებულების რეპატრიაციის პროგრამას, რომელიც 2012 წლის


პირველ იანვარს უნდა დასრულდეს. ამჟამად რეპატრიაციის  
სტატუსზე 5,000-ზე მეტი განაცხადია შემოტანილი, თუმცა ის  
ჯერჯერობით მხოლოდ 75-მა ოჯახმა მიიღო. სხვადასხვა ადა-  
მიანთა უფლებათა დაცვის ორგანიზაციის ცნობით, ხშირად  
მესხებს რეპატრიაციის და გადმოსახლების პროცესში ხელოვ-  
ნური წინააღმდეგობა ექმნებათ. მიუხედავად ამისა, ბევრი მეს-  
ხი გულს არ იტეხს. „ეს ჩემი მინა-წყალია“, – ამბობს სოფელ  
აბასთუმნიდან დეპორტირებული ალიხან კურაძე „მე აქ დავი-  
ბადე და, რა გასაკვირია, რომ აქვე მინდა დავსაფლავდე“. □



ინით შედებვის ცერემონია, რომელიც ქორნილის  
ორი დღით ადრე იმართება. რაც უფრო დიდხანს  
დარჩება, მის მერე მომავალი პატარძლის ხელებზე  
ნახატი, მით უფრო ძლიერია სასომოს სიყვარული.  
მესხების თემი სოფელ კანიშვილში, ყირგიზეთი



გამოსაშევი დღე სოფელ ნიოლიუბის სკოლაში, სადაც  
ერთად აჭარები, ოსი და მესხი ბავშვები სწავლიბენ



81 წლის სალიმ ხამდივი, რომელიც სამოცხე მეტი წლის მერე  
დაბრუნდა თავის მშობლიურ სოფელ აბასთუმანში

# ივანიშვილი ex machina

ზალ ანდონიკაშვილის ბლოგი



ფოტო ლევან ჩახანიძე/იანი

1937 წელს ფრანგმა მწერალმა ან-დრე შიდმა საბჭოთა კავშირში იმო-გზაურა. საბჭოური ექსპერიმენტის მიმართ უკიდურეს კეთილგანწყობას ჟიდისთვის ხელი არ შეუშლია თავი-სუფალ ერთა ძმური და მძღე კავში-რისთვის დიაგნოზი დაესვა, რომელიც გამჭრიახობით მისი ნინამორბედის, გრაფ ასტოლფ დე კიუსტინისას არ

ჩამოუვარდებოდა. წიგნისათვის „და-ბრუნება საბჭოთა კავშირიდან“ ჟიდი, რომელმაც საბჭოთა სტუმართმოყვა-რეობა სათანადოდ არ დააფასა და ვერ დაინახა ის, რისი არდანახვაც არაფრით შეიძლებოდა, საბჭოთა კა-ვშირის მტრად გამოაცხადეს.

„კრიტიკოსთა“ მტრებად გამო-ცხადება დღევანდელ საქართველოს

საბჭოთა კავშირისაგან ერგო მე-მკვიდრეობად, მაგრამ ახლა საბჭო-თა მემკვიდრეობაზე არ ვისაუბრებ. ამ წიგნის ერთ-ერთ ნაწყვეტში ჟიდი საბჭოთა პროდუქციის უხარისხობა-ზე წერს. გემოვნება, – წერს ჟიდი, – მხოლოდ მაშინ ვითარდება, როდე-საც არჩევის და შედარების საშუალე-ბა გაქვსო. ასარჩევი კი ამ ქვეყანაში

არაფერი არისო. ამიტომ უნებლიერთ, იმას ირჩევ, რასაც გთავაზობენ – ან უნდა აირჩიო, ან სულაც უარი თქვაო. თუკი სახელმწიფო ერთდროულად არის მნარმოებელიც, მყიდველიც და გამყიდველიც, მაშინ ხარისხი კულტურის დონის ზრდაზეა დამოკიდებულიო.

რასაც ჟიდი საბჭოთა პროდუქციაზე წერდა, ქართულ პოლიტიკურ პროდუქტს ზედმინებით შეესაბამება. ჩვენი ანალიტიკოსებიც გვიქადაგებენ, რომ საქართველოს ამომრჩევლის კულტურული დონე უნდა გაიზარდოს იმისათვის, რომ საქართველო დემოკრატიული ქვეყანა გახდეს, მაგრამ ქართველი ამომრჩეველი ერთი პარტიის მმართველობის პირობები უნდა გამოიზარდოს. კანონი, რომელიც მოქმედებს ეკონომიკაში, ანალოგიურად მოქმედებს პოლიტიკაში: პოლიტიკური კულტურა არ გაიზრდება, თუ ამომრჩეველს შედარებისა და ამორჩევის საშუალება არ ექნა – ამის აღიარება ჩვენს ანალიტიკოსებს რატომდაც უჭირთ ხოლმე. „ნაციონალურმა მოძრაობამ“<sup>8</sup> წელიწადი, ფაქტობრივად, უკონკურენტოდ გაატარა და საკმაო ძალისხმევაც გასწია იმისათვის, რომ კონკურენტი არც გასჩენოდა: საინფორმაციო და ფინანსურ ნაკადებზე სრული კონტროლის დამყარება შეძლო. უკონკურენტობა „ნაციონალური მოძრაობისათვისაც“ საზიანო აღმოჩენდა და მთლიანად ქვეყნისათვისაც. ყველა მნიშვნელოვანი რეფორმა პირველ ოთხ წელიწადში ჩატარდა, მეორე ლეგისლატურაში კი რეფორმებს ნარმატებულად ენაცვლებოდა (და ენაცვალება) სხვადასხვა ობიექტების დიდი ზარ-ზეიმით (და თანაც რამდენიმეჯერ) გახსნა – აღმშენებლობა მშენებლობებმა შეცვალა. სტაგნაციის შეგრძნება იმდენად გაძლიერდა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ თავგადაკლული მომხრებიც კი სისტემური გადატვირთვის აუცილებლობაზე აღაპარაკდნენ.

უძრაობის შეგრძნება ხუთდღიანი იმის შედეგად კიდევ უფრო გამძაფრდა, რადგანაც გასაგები გახდა, რომ

პრეზიდენტი და მისი მთავრობა წინასაარჩევნო გიგანტობანიურ მიზნებს ვერაფრით შეასრულებდნენ. ახალი კურსი სასწრაფოდ გახდა საძებნელი, რომელსაც ხან სინგაპურიზაცია დაერქვა, ხანაც კიდევ რა, მაგრამ ძალიან დაემსგავსა ერთ ძეველ ანერთობას, რომლის პერსონაჟიც გაზიეთში განცხადებას აქვეყნებს: „ვკრიჭავ კატებს, შემიძლია კასტრირებაც, მოკლედ, როგორც გამომივა“.

მიუხედავად ქვეყნის განვითარებაზე ნათელი წარმოდგენების უქონლობისა, „ნაციონალური მოძრაობა“ ჯერ კიდევ ერთი თვის წინ სრულიად უალტერნატივი პოლიტიკურ ძალად ჩანდა. იმედი, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ რეფორმატორული გუნდი დემოკრატიზაციისათვის რამის გაკეთებას შეძლებდა, ძალიან პატარა იყო. პარტიის და მთავრობის ყოველ-დღიური სატელევიზიო თვითტებობის ფონზე, საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე ერთადერთი ქართველი მილიარდერი სწორედ სისტემური გადატვირთვის ამბიციით გამოჩენდა. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების და მხარდამჭერების ისტერიით თუ ვიმსჯელებთ, მისი გამოჩენა მმართველი პარტიისათვის მოულოდნელი იყო.

იმათვის, ვისაც არ აინტერესებს, როგორი ადამიანია ბიძინა ივანიშვილი, მერცხლები ურჩევნია ბეღურებს თუ პირიეით, კარგი თამადაა თუ არა და არც სხვადასხვა ტიპის შეთქმულების თეორიებით ინუებს თავს, წესით უფრო საინტერესო უნდა იყოს, როგორ აპირებს „ოლიგოგრაქი“ ამ გადატვირთვის განხორციელებას. მისი პოლიტიკური პროგრამის შესახებ ჯერვერობით ბევრი არაფერი ვიციოთ. ორი კონკრეტული პროექტი: სოფლის მეურნეობისა და განათლების სფეროებში ნაციონალური პოლიტიკური პროგრამისათვის ძალიან ცოტაა. საგარეოპოლიტიკური განცხადებები უკიდურესად ზოგადი: საქართველომ, ივანიშვილის თქმით, უნდა გააღრმავოს ურთიერთობები შეერთებულ შტატებთან და ევროკავშირთან და

გააუმჯობესოს ურთიერთობები რუსეთთან.

მას შემდეგ, რაც რუსეთის მსო-ში განვერიანებისათვის თანხმობის მიცემა ქართული დიპლომატიის სრულიად უპრეცედენტო გამარჯვებად გამოცხადდა, რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების რესურსი, ფაქტობრივად, ამოინურა. ძნელი წარმოსადგენია, რომ პუტინის გუნდი პრინციპულად შეცვლის პოლიტიკას საქართველოს მიმართ და არც საქართველოს რომელიმე მთავრობა აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ისეთის დამოუკიდებლობას. მაქსიმუმი, რისი მიღწევაც შეიძლება, რიტორიკის შეცვლა და ჰუმანიტარული კონტაქტების აღდგენაა. ძირითად შედაპოლიტიკურ საკითხებზე ივანიშვილს პასუხი ჯერ არ აქვს და ამ პასუხების შემუშავებას მრჩეველთა საბჭოსთან ერთად აპირებს. იმის აღიარება, რომ რაღაც არ იცი და საკითხში გარკვევას აპირებს, პრინციპში დადებითი რამაა, იმიტომ, რომ პოლიტიკოსიც და ექსპერტიც მრავლად გვინახავს, რომელიც მოუფიქრებლად გვთავაზობს არაკომპეტენტურ რეცეპტებს სასეთები საქართველოს მთავრობაშიც და პარლამენტშიც მრავლად არიან) – მეორე მხრივ კი, როტულ წარმოსადგენია, რამდენად კარგი რჩევა შეუძლია მისცეს ივანიშვილს მაგ. ეკა ბესელიამ, რომელმაც, მას შემდეგ, რაც იურიდიული კარიერა პოლიტიკურზე გაცვალა, მაინცა და მაინც გონიერი პოლიტიკოსის რეპუტაციის შეძენა ვერ შეძლო.

რასაც ივანიშვილი ჯერვერობით გვთავაზობს, მიხეილ სააკაშვილის აღტერნატივა: ან მე, ან ის. საარჩევნო ტაქტიკასათვის ამგვარი პოლარიზება შეიძლება სასარგებლოც იყოს, მაგრამ შინაარსის თვალსაზრისით, ბევრს ვერაფერს გვაძლევს. ნიშანდობლივია „რევოლუციური“ გზის უარყოფაც. თუმცა მიღიარდერის შეხედულებები არც ამ საკითხზეა ერთმნიშვნელოვანი: ერთი მხრივ, ივანიშვილი იდეალურად მრავლპარტიულ სისტემას მიიჩნევს, მეორე მხრივ კი საპარლამენტო



## გამოიცარეთ ჟურნალი „ლიბერალი“



**მიმღებ თქვენი  
ჟურნალი  
ყოველ ხუთშაბათს  
თქვენთვის  
სასურველ ადგილას!**

ჟურნალის გამოწერის მსურველებმა  
დარეკაცია:  
2962311, 2910151 პრეს-ექსპრესი

არჩევნებში აბსოლუტური უმრავლე-  
სობით გამარჯვებას აპირებს. ეს კი  
მანიც გულისხმობს „მიკრორევოლუ-  
ციას“: რამდენიმეწლიან ტრანზიციულ  
პერიოდს, რომელიც ივანიშვილს სა-  
შუალებას მისცემს „გამოასწოროს“  
„ნაციონალური მოძრაობის“ შეცდო-  
მები და შემდეგ პოლიტიკიდან წავი-  
დეს. ძნელია ამგავარ დაპირებების  
რეალურობაში ეჭვი არ შეიტანო. გან-  
საკუთრებით, ცოტა არ იყოს, უცნაუ-  
რი განცხადებების ფონზე, რომ მისი  
ძალაუფლებაში მოსვლის შემდეგ მაგ.  
ვანო მერაბიშვილს მიეცემა ახალი  
პარტიის შექმნის ან ბიზნესის კეთების  
საშუალება. ჯერ ერთი, როგორც ჩანს,  
ივანიშვილი ფიქრობს, რომ „ნაციონა-  
ლური მოძრაობა“ საერთოდ გაქრება  
პოლიტიკური ასპარეზიდან, როგორც  
ეს მის წინამორბედებს: მოქალაქეთა  
კავშირს, მრგვალ მაგიდას და კომუ-  
ნისტურ პარტიას დაემართათ. მეო-  
რე კი, სამაგალითო დემოკრატიაში,  
რომელსაც ივანიშვილი გვპირდება,  
პოლიტიკური და ბიზნეს-საქმიანობა  
ისედაც თითქოს ყველა მოქალაქეს  
უნდა შეეძლოს რაიმე განსაკუთრებუ-  
ლი დათქმის გარეშე.

ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენა  
იმითი კი არ არის საინტერესო, რომ  
ერთ ერთპარტიულ მონოპოლისტს  
(ნაციონალურ მოძრაობას) რომელი-  
მე სხვა მონოპოლისტი, კიდევ ერთი  
97%-ით არჩეული მესია შეცვლის,  
რომელიც ახალი რესპუბლიკის შენე-  
ბას მონიდომებს ახალი დროშით, გერ-  
ბით და ჰიმნით. არამედ იმით, რომ  
მისი გამოჩენით ერთპარტიულ მონო-  
პოლიას შეიძლება ბოლო მოელოს.

ივანიშვილი ახალბედა პოლიტი-  
კოსია. „ნაციონალური მოძრაობის“  
მხარდამჭერ ანალიტიკოსებს მისი  
ახალბედობა მკაცრი შეფასების გაკე-  
თების საშუალებას აძლევს. პროფე-  
სორი გია ნოდიასათვის მილიარდერი  
მხოლოდ „ფულის ტომარაა“ და მეტი  
არაფერი. მაგრამ ივანიშვილის სრული  
პოლიტიკური გამოუცდელობის მიუ-  
ხედავად, მას იპოზიციური პარტიე-  
ბის კონსოლიდაციის რეალური პერს-  
პექტივა აქვს (რასაც ეს პარტიები

დამოუკიდებლად ვერაფრით ახერხე-  
ბდნენ) და ასევე საშუალება აქვს ოპო-  
ზიციური ბლოკის ლეგალური ფინან-  
სური რესურსებით უზრუნველყოფის,  
რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“  
ვერ აკონტროლებს. ეგ ყველაფერი  
ხომ ბადრი პატარკაციშვილსაც ჰქონ-  
და, იყითხავს ვინმე. ეს შეკითხვა სა-  
ფუძველს მოკლებული არა.

ბიძინა ივანიშვილი მიხეილ სააკაშვი-  
ლის ალტერნატივად თავს კი აცხადე-  
ბს, მაგრამ საინტერესო სწორედ ის  
იქნება, რა თვალსაზრისით მოახერხე-  
ბს ის სააკაშვილის ალტერნატივული  
ფიგურა გაბდეს. ან იმ გაგბით, რომ  
მტვერსასარუტივით შეისრუტოს ყველა,  
ვისაც პრეზიდენტი სააკაშვილი და „ნა-  
ციონალური მოძრაობა“ ამა თუ იმ მი-  
ზეზით თვალში არ მოსდის და ერ-  
თგვარ უკეთეს „გრეჩიხად“, ანუ  
საპროტესტო ამომრჩევლის ლიდერად  
გადაიქცეს. ან იმით, რომ „ნაციონა-  
ლური მოძრაობისაგან“ განსხვავებული  
მკაფიო პოლიტიკური პროგრამის ჩა-  
მოყალიბებას შეძლებს (ბადრი პატა-  
რკაციშვილს ამის არც სურვილი და  
არც პრეტეზია ჰქონდა. ის „რევოლუ-  
ციურ“ პროექტზე მუშაობდა). ამ საკი-  
თხების გარკვევა მკითხავ ბეჭედოტე-  
ბზე უკეთ დაგვანახებს საქართველოს  
განვითარების პერსპექტივებს: თუკი  
აღმოჩენდა, რომ საქართველოში არ არ-  
სებობს „ნაციონალური მოძრაობისა-  
გან“ განსხვავებული პოლიტიკური  
პროგრამის ჩამოყალიბების პოლიტი-  
კური და ინტელექტუალური რესურსი,  
მაშინ საქართველო ნებისმიერ შე-  
მთხვევაში უახლოესა ათი ან ოცი წლის  
განმავლობაში გაუგებარი პერსპექტი-  
ვების ტრანზიციულ რეჟიმად დარჩება.  
თუ აღმოჩენდა, რომ ასეთი პროგრამის  
შექმნა შესაძლებელია, მაშინ საქარ-  
თველოს მიეცემა მანსი, დაასრულოს  
ერთპარტიული მონოპოლიების მავნე  
ტრადიცია და თანამედროვე დემოკრა-  
ტიულ სახელმწიფოდ გადაიქცეს. მ

მასალა თავდაპირველად გამოქვეყნ-  
და ზაალ ანდრონიკაშვილის ბლოგზე:  
<http://andronikashvili.blogspot.com/>

# ლაპატო

(თბილისის უბნის თვალის ცენტობის შევებით. ნაირი V)

კახა თოლორდავა  
უურნალისტი



თბილისში დაბალღრუბლიანი და ქარიანი ნოემბერია. დამპალოს ახალი (ძველიცაა, ოლონდ გზის გადაღმა), მოშიშვლებული სასაფლაოს ლამის შუაგულში ვდგავარ და ერთ-ერთ საფლავს დაუცექრი. საფლავის ქვაზე ის მანქანაა, კონსერვის ქილასავით დაჭმუჭნული, რომელშიც ეს ახალგაზრდა კაცი დაიღუპა, მეორე, უფრო მაღალი ქვიდან რომ მიღიმის. თვითონაც ბოლომდე არ მესმის, რატომ მომწონს სასაფლაოებზე ყოფნა, მაგრამ ფაქტია, აქ შემთხვევით არ მომხვდარვა; სამგლოვიარო პროცესიას მოვკა-

რი თვალი და ფეხდაფეხ გამოვყევი, ახლა კი ვდგავარ ამ საფლავთან და არ ვიცი, ნინ გავაგრძელო სიარული თუ უკან დავპრუნდე. ქარის მოვარდნილი ნაჟადისგან ჰაერში აჭრილი პოლიეთოლენის პარკები და ყვავილების გასახვევი ვერცხლისფერი ქაღალდები ჩიტებივით ფარფატებენ ჩემ გარშემო. მინდა, რომ ვინმე ფოტოაპარატიანი მახლდეს თან. ლამაზი ფოტო გამოვიდოდა. ვიღაცის მზერას ვგრძნობ და იქითკენ ვიხედები. შავებში ჩაცმული ქალია. მკერდზე გარდაცვლილის ფოტო აქვს მიმაგრებული. საფლა-

ვის მისახედადაა მოსული. „ნინ რომ ვიარო, გავალ აქედან?“ – ვეკითხები და ხელით ვუჩვენებ მიმართულებას. ფიქრობს, მერე მპასუხობს: „არ ვიცი, ვერ მოგატყუებ!“

უფრო ადრე. როგორც იქნა, მოვნახე მთავარი გზიდან გადასახვევი და ახლა სადღაც ორხევსა და დამპალოს შორის მოქცეულ ბილიკზე მივაბიჯებ. ორხევის მხარეს ნახევრად დარღვეული შენობებია, დაახლოებით ისეთი, კომპიუტერულ თამაშებში რომ აწყდები მონინააღმდეგის ბანაკის ძიებისას, სადაც ჩასაფრებული მტერი ან გელოდება ან არა. ჩემს მარცხნივ ხის ღობების კედელია, რომლის მიღმაც მიშველ ტოტებზე შერჩენილი ხურმა-კარალიოკები მოჩანს; თითქმის ყველა ეზოში. ირგვლივ კაცის ჭაჭანებაა არაა. აქეთ-იქით ვიყურები, ვცდილობ, რამე ისეთს მოვკრა თვალი, რაც დამპალოს განსაკუთრებულობაზე მიმანიშნებს, მაგრამ აქ ალბათ ასეთს ვერაფერს გადავწყდები. რუკაზე უფრო მიმზიდველად ულერდა აქაურობა. „დამპალო!“ უკვე რამდენი ხანია აქ მოხვედრა მინდა, აი, აქ ვარ და მერე რა? წამოსცლამდე „ვიკიპედიას“ ჩავხედე. მხოლოდ ამას გადავაწყდი: – „სახელწოდება უკავშირდება ადრე აქ არსებული პირუტყვის სასაფლაოების გამო გამეფებულ ანტისანიტარიას. აქედან მოდის ამ ადგილის სხვა სახელწოდებებიც: ბოინისხები, სასაკლაოსხევი. სასაკლაოს გაუქმების შემდეგ აქ ერთ დროს ბოსტნები იყო“ – ესაა და ეს. მართალია, აქ სიარულისას არცერთი მოკლული ცხოველის აჩრდილს არ გადავყრიგარ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ სადღაც აქ, ახლომახლო, ორხევში, უპატრონო ძალები მოჰყავთ

# ქალაქში მოხატიალე კაცის ჩანაცერები

დასახოცად. ძალლები კი იმიტომ გამასხენდა, რომ ლამის ყოველი ეზოდან, ღობების ღრიფებიდან გამოჩრდილი ქოფაკები მიღრენენ და ერთმანეთს ყეფა-ყეფით აფრთხილებენ, ტერიტორიაზე უცნობია შემოსულიო. კიდევ ცოტა გავიარე და როგორც იქნა, გაიღო ერთ-ერთი სახლის კარი და ეზოში ვიღაც ქალი გამოვიდა. გავულიმე და თავის დაკერთი მივესალმე. მომესალმა, თუმცა ცივად, მერე კი სასწრაფოდ შებრუნდა სახლში. ისევ მარტო დავრჩი, ძალლების ღრენაში გაცვეული. მერე კი სამგლოვიარო პროცესია დავინახე. ქარი ძლიერდება.

კიდევ უფრო ადრე. ვარკეთილის და დამპალოს გამყოფ გზატკეცილზე მივაბიჯებ. ისეთი შეგრძნება მაქს, რომ ტყუილუბრალოდ წამოვედი ამ სიშორეზე. არა, ვერ ვიტყვი, რომ აქ თბილისი არ იგრძნობა (ბოლოს და ბოლოს, იმ ადგილიდან სადაც ვდგავარ, აეროპორტის ტრასა მოჩანს), მაგრამ მაინც უცხოდ ვგრძნობ თავს. ალბათ, სწორედ ამიტომაც დახხეტიალობ ხოლმე უბან-უბან. ასე ვცდილობ ქალაქთან გაუცხოების შეგრძნება მოვიცილო და მგონია, რომ ეს ერთადერთი გზაა ამისთვის. დაბლა ვეშვები და ვხვდები, რომ დამპალო თავის სიღრმეში არ მიშვებს. ის კერძო სახლების ეზოების ღობებით იცავს თავს. ერთ ჩასახვევს კი მოვკარი თვალი, მაგრამ კარგად რომ დავაკვირდი, ვიფიქრე ჩიხი იქნება-მეთქი და ამიტომაც ისევ წინ გავაგრძელე სიარული. მაღაზიიდან კაცი გამოვიდა და სიგარეტს მოუკიდა. „გამარჯობა, – მივესალმე, – ეს ტერიტორია მარცხნივ მთლიანად დამპალოა არა?“ „ეგრეა, – მიპასუხა, – რას ექებ?“ „არავის, ვსეირნობ. რამე ღირსშესანიშნავი თუა აქ სადმე?“ ჩაფიქრდა. „აი, იქით, – თავი გადააქინია, – ერთი დიდი სახლია, მაგარი ლამაზი, ბასენებიანი; იგორო ცხოვრობდა იქ, მაგარი კაცი იყო, მაგრამ მოკვდა და ის სახლი ირანელებმა იყიდეს. იქეთ, მაღლა, წისქვილია“. „სულ ეგაა?“ „ეგაა, რაცა!“ ისევ ქვემოთ მივდივარ. დამპალო არც იქ მიშვებს თავის სიღრმეში. მოშორებით რაღაც შესა-

ხვევია. ვფიქრობ, რომ იქიდან მაინც მოვახერხებ დამპალოში შეღწევას და ნაბიჯს უჩიჩარებ. გზაში ბოთლ წყალს ვყიდულობ პატარა მარკეტში. აქ წყალი ოცი თეთრით უფრო იაფია, ვიდრე ქალაქის ცენტრში. შესახვევამდე „ზაბეგალოვება“. სანამ შევუხვევ, ფოტოს ვულებ „ზაბეგალოვების“ კედელს, – ხაჭაპ. ლობია. ჩებურ. – მაცნობს კედელი.

ამაზე უფრო ადრე. სამარშრუტოში, რომელშიც ვარკეთილის მეტროსთან კედელი.

## ■ მართალია, აქ სიარულისას

### არცერთი მოკლული

### ცხოველის აჩრდილს არ

### გადავყრივარ, მაგრამ ის

### კი ვიცი, რომ სადღაც აქ,

### ახლომახლო, ორხევში,

### უპატრონო ძალლები მოჰყავთ

### დასახოცად. ძალლები კი

### იმიტომ გამახსენდა, რომ

### ლამის ყოველი ეზოდან,

### ლობეების ღრიფოებიდან

### გამოჩრილი ქოფაკები

### მიღრენენ და ერთმანეთს

### ყეფა-ყეფით აფრთხილებენ,

### ტერიტორიაზე უცნობია

### შემოსულიო.

ჩავჯექი, ჩემს მარცხნივ ორნი სხედას შავ პერანგებში; ორივე ორმოცის იქნება. ორივეს ნაიარევი ატყვია ტუჩზე. ორივე ნასვამია. ერთ-ერთს ვთხოვ, დამპალოს გადასახვევთან რომ მივალთ, მითხარით-მეთქი. „რა უნდა?“ – ეკითხება მეორე პირველს. „დამპალოში მიდის!“ – პასუხობს ის. ორივე მდუმარედ მიყურებს. „გეტყვი, რომ მივალთ“, – როგორც იქნა, მეუბნება პირველი. სამარშრუტოში ყველა

ერთმანეთს იცნობს, კაციც და ქალიც. მძღოლი ხან ერთს გაეშაყირება, ხან მეორეს. ყველას გველიმება. სალონში რძის და ბალახის სუნია. რამდენიმე წუთის შემდეგ ის კაცი მხარზე მიტყაპუნებს ხელს. „ეგაა!“ – მეუბნება. კიდევ ერთი-ორი წუთიც და ტრასაზე ვდგავარ, მარტო. იქვე დაბურული სასაფლაოა. მოგვანებით შევიტყობ, რომ სწორედ ესაა დამპალოს ძველი სასაფლაო, ახლა კი ვდგავარ და იმედის თვალით ვუყურებ კაცს, რომელსაც ორი ძროხა საბალახოდ გამოუყანია. „ეს დამპალოა, არა? – ვეკითხები. „არ ჰგავს თუ რა?!“ – იცინის ის და თითით მანიშნებს მოპირდაპირე მხარეს.

აი, ამაზე კიდევ უფრო ადრე. მგონი, ამერია და სხვა მეტრო სადგურში ჩამოვდები. იშვიათად მემართება ასე, ვარკეთილში მინდოდა და რატომდაც, სამგორის მეტროს შესასვლელთან ამოვყავი თავი. მაინც ვიფიქრე, იქნებ აქედან მიდის რამე დამპალოში-მეთქი და მეტროს სადგურთან მოფუსფუსე ხალხს შევერიე. ვერავინ მეუბნება, დამპალოში როგორ გავიდე. გარშემო ისეთი ყაყანია, რომ თითქმის არაფერი მესმის. ბოლოს და ბოლოს, ვიღაც ღვთისინიერი მიხსნის, აქედან გაგიჭირდება დამპალოში მოხვედრა, ისევ აჯობებს ვარკეთილიდან სამარშრუტოს გაყვეო. სანამ მეტროში ჩავბრუნდები, ერთ ისეთ რამეს ვამჩნევ, რაც აქამდის არ შემიჩნევა, – კიოსკებში, სადაც ლუდს და სხვა ალკოჰოლურ სასმელებს ყიდიან, სოსისების და ძეხვეულის გარდა, მოხარშული კვერცხებიც იყიდება. უზარმაზარ თეფშებზე ახორციელავებული მოხარშული, თეთრად მოელვარე კვერცხები.

გამთენისას. ტელეფონის ზარია. ყურმილს ვიღებ. „პა, რას აპირებ ამ კვირადლეს, ბრატ?“ „არ ვიცი, ალბათ, დამპალოში ნავალ.“ „სად?“ „დამპალოში, თბილისის უბანია ასეთი“. „იქ რა გინდა, კაცო?“ „არც არაფერი, გავისეირნებ?“ ცოტას. სასეირნო ამინდია. „დააა, სულ დაქლიავდი ამხელა კაცი, აი!“ 



თალავი, ყვარელი, ლაგოდები  
გორი, ქარელი, ხაშური  
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია  
ურეკი, ქობულეთი, გათახი  
ვოთი, სენაკი, ზუგდიდი

**FM 105.5**  
**FM 103.0**  
**FM 104.5**  
**FM 101.0**  
**FM 101.9**



**WWW.LIBERALI.GE**

---